ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 1 ივლისი, 2020 | №140 (8404) | ფასი: 60 თეთრი

არჩილ გაგნიძე: „19 ივნისს, საღამოს 10-ზე, სახლის წინ ვსვამდით ლუდს, როცა 10 აღლვებული ახალგაზრდა მოვიდა ჩვენთან“



გვ.5

როგორ აღმოჩნდნენ მორაგბეები ნარეკვავის აგარაკზე

„ელისაშვილი პოლიტიკური კინტოა“

გვ.3

გიორგი ვაშაძე: ოცნებამ დაავალა ჩემ წინააღმდეგ გამოსვლა



გვ.2

„ივანიშვილისგან ნებისმიერი აფიორა მოსალოდნელია, მაგრამ ყველა შემთხვევაში დამარცხდება“

ხატია დეკანოიძე: „პრემიერობის კანდიდატი ეყოლება იმ პარტიას, რომელიც ყველაზე მეტ ხმას აიღებს არჩევნებზე“

მურმან დუმბაძე: „ივანიშვილი უნდა შეეგუოს, რომ შეიძლება ოპოზიციაში გადასვლა მოუწიოს“

„თუ ივანიშვილი არ ჩაატარებს დემოკრატიულ არჩევნებს, მაშინ არჩევნები არალეგიტიმურად ჩაითვლება. არალეგიტიმური ხელისუფლება კი, არა ბიულეტენით, არამედ პანღურით მიდის და ამის გამოცდილებაც გვაქვს“

გვ.3

გოგი წულაია: „ოცნებას“ ვურჩევ, ჭინთვებს და მეზღაპრეობას თავი დაანებოს“

„ხელისუფლება ცინიკურად იბრალებს იმას, რაშიც დამსახურება არ მიუძღვის“

გვ.4

გვ.4

ვახტანგ გომელაური: „გიორგი შაქარაშვილის საქმეზე ექსპერტიზის დასკვნის შემდეგ გამოჩნდება, საით უნდა წავიდეს გამოძიება“

გვ.2

გიგა ბოკერია: „ბაჩანა შენგელიასთვის სანოტარო საქმიანობის შეჩერება არის ამ სამარცხვინო ხელისუფლების სახე“

ISSN 1987-9385

2 ანრი ოხანაშვილი: „ჩაიარა ნაციონალური მოძრაობის და მისი კლასტერის მატარებელმა“

4 24 წლის შ.გ.-მ ყოფილი შეყვარებულის დაწვა სცადა

5 სუსმა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომელი და კიდევ 2 პირი დააკავა

6 ბორის ჯონსონი: „ქვეყანა კორონავირუსის კრიზისის ტყვედ ვერ დარჩება“

„ივანიშვილისგან ნებისმიერი აფიორა მოსალოდნელია, მაგრამ ყველა შემთხვევაში დამარცხდება“

ხატია დეკანოიძე: „პრემიერობის კანდიდატი ეყოლება იმ პარტიას, რომელიც ყველაზე მეტ ხმას აიღებს არჩევნებზე“

იაგო ნაცვლიშვილი

„ქართული ოცნების“ წარმომადგენლები „ქართუს“ ქება-დიდებაზე გადავიდნენ და აცხადებენ, რომ იპოდრომზე მისი დაფინანსებით უმნიშვნელოვანესი საქმე კეთდება. ასეთი მოსაზრებაც გაჩნდა, რომ ივანიშვილი რეაბილიტირებულ იპოდრომს წინასაარჩევნოდ თბილისელებს გადასცემს და ამით ეცდება ფონს გასვლას და არჩევნებზე წარმატებების მიღწევას.

ელოდებიან თუ არა ამ სცენარს და დაახლოებით იგივე ქმედებებს, რაც მოხდა 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე? რას დაუპირისპირებს ოპოზიცია და ხომ არ უშვებს შეცდომებს ურთიერთდაპირისპირების გამო? – ამ საკითხების შესახებ „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი **ხატია დეკანოიძე** საუბრობს:

– „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები აცხადებენ, როგორ ხელს უწყობს „ქართუ“ იპოდრომის რეაბილიტაციას. რა გზავნილი დაინახეთ ამაში და ხომ არ ელოდებით, რომ ეს იქნება „ოცნების“ მხრიდან საარჩევნო კომპანიის ერთ-ერთი სტრატეგია?

– ბიძინა ივანიშვილი ასეთ აფიორებს სულ აკეთებს, თავის ხელში ჩაგდებულ ქონებებთან დაკავშირებით. მათ შორის პანორამა თბილისის პრობლემის სახით, თუნდაც იგივე იპოდრომის ტერიტორიაზე არსებული მიწები, რომელიც ხელში ჩაიგდო. ივანიშვილს მოქალაქეებისთვის არაფერი შეღავათი არ გაუკეთებია, გარდა საკუთარი დენდროლოგიური პარკისა. ამიტომ, ნებისმიერი აფიორა, ანუ ასეთი აფერისტული ქმედებები გასაგებია და შესაძლოა ის გამოიყენოს თავისი მიზნებისთვის და მათ შორის საკუთარი კეთილდღეობისთვის. ამაში განსაკუთრებული არაფერია და ამას შეეჩვია ჩვენი საზოგადოება.

შესაძლებელია, რომ წინასაარჩევნოდაც ჰქონდეს ჩანაფიქრი, რომ ასეთი სქემა აამოქმედონ, მაგრამ მე მინდა გითხრათ, რომ საზოგადოებას კარგად ახსოვს მისი „გაკეთებული“ საქმე და დაპირებები, რომელსაც ის გასცემს 2012 წლიდან, რომელიც სამწუხაროდ არცერთი არ შესრულა, ამიტომ სიმართლეს გეტყვით – რაც არ უნდა სქემები ჩახლართონ და რაც არ უნდა მოიფიქრონ, მათ არაფერი არ უშველით არჩევნებზე, რაც იმას ნიშნავს, რომ ივანიშვილი ხელისუფლებას ჩამოშორდება.

– თუმცა, ჩვენ, მაგალითად, სახეზე გვაქვს 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნები, როდესაც ივანიშვილის „ქართუმ“ ჩამოაწერა გარკვეულ კატეგორიას ვალები. ასეთი მოსაზრება ახლაც გაჩნდა, რომ შესაძლოა ივანიშვილმა წინასაარჩევნოდ იპოდრომი გადასცეს თბილისელებს და ამით შეეცადოს ფონს გასვლას. ამას არ ელოდებით?

– იცით რა? მათ შორის 2018 წლის ის მაგალითი, რაც თქვენ მოიყვანეთ, შევიდა ეუთო/ოდირის დასკვნაში. შევიდა ყველა საერთაშორისო დასკვნაში, მათ შორის, როგორც სისხლის სამართლის დანაშაული და საერთაშორისო კოდექსის დარღვევა ყველანაირად. შესაბამისად, ეს ადამიანები თავისუფალი სასამართლოს პროცესებში პასუხს აგებენ ამ ფაქტებთან დაკავშირებით.

მაგრამ, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, არაფერი გამორიცხული არ არის ბიძინა ივანიშვილის მხრიდან, მაგრამ ეს მას არ აძლევს არანაირი მანევრირების შესაძლებლობას. ჩვენ რაც არ უნდა გავიხსენოთ წინა არჩევნების მაგალითები, უნდა გვესმოდეს, რომ ოქტომბერში ფაქტობრივად არის სხვანაირი კონფიგურაციის არჩევნები. ეს არის არჩევნები, რომლითაც საქართველოს მომავალს განსაზღვრავს – სტრატეგიული განვითარებისა თუ კეთილდღეობის თვალსაზრისით. ამიტომ, ამომრჩეველმა ძალიან კარგად იცის, რომ იმ შემთხვევაში, თუ ბიძინა ივანიშვილს გაუვა თავისი მაქინაციები, მაშინ ეს იქნება ძალიან მძიმე შედეგის მომტანი ქვეყნისათვის.

ამიტომ, წინა არჩევნებთან დაკავშირებული შედარებები გასაგებია, მაგრამ ეს შედარებები უნდა გადავიტანოთ და მაქსიმალურად დავაზღვიოთ ჩვენს ხელთ არსებული ყველანაირი მექანიზმებით. ამას აქვს ერთადერთი ძალიან სერიოზული ჩამკეტი მექანიზმები. პირველი, ეს არის მოქალაქეების მისვლა არჩევნებზე და საპროტესტო მუხტის გამოხატვა საარჩევნო ყუთთან და მეორე, თუ ივანიშვილი შეეცდება, რომ არ ჩაატაროს დემოკრატიული არჩევნები და გამოიყენოს საკუთარი ძალაუფლება, მაშინ მას მოუწევს შესაბამისი შედეგის მიღება. ის არაერთხელ გააფრთხილეს და არაერთი წერილი იყო.

– ეს იმას ნიშნავს, რომ ვთქვათ, რაც მას გაუვიდა 2018 წელს, ის ვეღარ გაუვა 2020 წელს?

– მე ასე გავცემ თქვენს კითხვას პასუხს – ეს ნიშნავს იმას, რომ ნებისმიერ შემთხვევაში ივანიშვილი დამარცხებულია. ამერიკის სენატის თავდაცვის შესწორების აქტში პირდაპირ არის მითითება, რომ თუ ივანიშვილი არ ჩაატარებს დემოკრატიულ არჩევნებს, შევა ცვლილება ძალიან მნიშვნელოვან დოკუმენტში, მაშინ ეს ნიშნავს გამაფრთხილებელი მექანიზმების ამოქმედებას. თუ ივანიშვილი გადაწყვეტს, რომ სტრატეგიული მექანიზმები ამჯერადაც არაფერს არ ნიშნავს, მაშინ ის მიიღებს ძალიან მძიმე და ადეკვატურ პასუხებს.

– როგორ? რა მექანიზმებით მიიღებს მძიმე პასუხებს?

– სანქციებით. მათ შორის მის ფინანსურ ქონებრივ კაპიტალზე, მისი პოლიტიკური ისტებლიშმენტისთვის გადაადგილებების შეზღუდვაზე და ა. შ. ეს არის ჩვეულებრივი და ორჯერ ორი ოთხია, ისეთი მარტივი.

– ოპოზიცია რას აკეთებთ იმისთვის, რომ რეალურად მიაღწიოთ გამარჯვებას? თბილისში ორ ოლქში არ დაგისახელებიათ საერთო კანდიდატები და რა ხდება ამ მხრივ?

– ჯერჯერობით მკვეთრი და საბოლოო პოზიცია არ არსებობს. ჯერ კიდევ ველოდებით, მათ შორის, გარკვეულ კონფიგურაციებს ოპოზიციური პარტიების მხრიდან. რას აკეთებს ოპოზიცია, ამაზე არ დავიწყებ საუბარს, მაგრამ მე შემიძლია გითხრათ, რას აკეთებს ჩვენი პოლიტიკური გუნდი. ჩვენი პოლიტიკური გუნდი ემზადება არჩევნებისთვის და იმისთვის, ამომრჩევლებს დავანახოთ, რომ მომავალი ივანიშვილის გარეშე გაცილებით უკეთესია, ვიდრე ოლიგარქთან ერთად. ამიტომ ჩვენ გავაკეთებთ ყველაფერს, ყველა დონეზე და გამოვააშკარავებთ ყველაფერს, რაც ამ ქვეყანაში ხდება.

– გაჩნდა გარკვეული დაპირისპირების ნიშნები ოპოზიციაში და ეს ხომ არ აზარალებს საერთო ოპოზიციურ საქმეს?

– მე ვფიქრობ, რომ ნორმალური კრიტიკა, მათ შორის ერთმანეთის მიმართ, მისაღებია, მაგრამ ზღვარგადასულმა ლექსიკამ, რასაკვირველია, შეესაძლოა მეტი მანევრირების შესაძლებლობა გაუჩინოს „ქართულ ოცნებას“. მათ შორის ვურჩევდი ყველა ოპოზიციურ პარტიას, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ ბრძოლის ნაცვლად, მას ფოკუსი გასწორებული ჰქონდეს ქვეყნის მთავარ საფრთხეზე, ამ შემთხვევაში ბიძინა ივანიშვილზე.

– თქვენ პარტიას არ ურჩევდით იგივეს? არცთუ შორეულ წარსულში ვნახეთ, როგორი თავდასხმა მოხდა თქვენი პარტიის ზოგიერთი წევრისგან გიორგი ვაშაძეზე, მას შემდეგ, რაც თაკო ჩარკვიანმა პრემიერობის კანდიდატად დაასახელა. ეს არ აზარალებს პროცესს?

– მაგალითად, ვისგან?

– მაგალითად, გია ბარამიძისგან.

– მე ვფიქრობ, რომ თავდასხმა არ იყო. ზოგადად, როდესაც გაერთიანებული ოპოზიციისგან სახელდება პრემიერმინისტრობის კანდიდატი, ამასთან დაკავშირებით ერთიანი ფორმატი უნდა იყოს შემუშავებული. მე გეტყვით ჩემ დამოკიდებულებას – მაშინ, როდესაც მისაღები იყო საკონსტიტუციო ცვლილებები, მაშინ, როდესაც მოლაპარაკებების ეტაპზე ვიყავით და ა. შ., ამ ვითარებაში, ჩემი აზრით, პრემიერობის კანდიდატის დასახელებისას ადგილი ჰქონდა პოლიტიკური ინტერესების გაღრმავებას.

ეს თავდასხმა არ იყო. კრიტიკისგან ხელშეუხებელი არავინ არის და ნებისმიერ შემთხვევაში ჩვენი დამოკიდებულება გვაქვს. ამიტომ, პრემიერმინისტრობის კანდიდატი ეყოლება იმ პოლიტიკურ ძალას, რომელიც ყველაზე მეტ ხმას აიღებს არჩევნებზე. ეს ჩვეულებრივი ამბავია და ამასაც სჭირდება კონსულტაციები, თუ ეს მოხდება ერთიან ფორმატში. ცალკეულად ასე დაბრეხვებული (არ მიყვარს ასეთი ლექსიკა, მაგრამ მაინც უნდა გამოვიყენო) განცხადებები, მე მგონი, პროცესს ცოტა აზიანებს. ამიტომ, ჩვენ არ გვაქვს ფუფუნება, რომ „ქართულ ოცნებას“ მანევრირების შესაძლებლობები გავუჩინოთ.

გიგა ბოკერია: „ბაჩანა შენგელიასთვის სანოტარო საქმიანობის შეჩერება არის ამ სამარცხვინო ხელისუფლების სახე“

„ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი გიგა ბოკერია ბაჩანა შენგელიასთვის სანოტარო საქმიანობის შეჩერების საკითხს ეხმაურება. მისი განცხადებით, ბაჩანა შენგელიას თავის ოჯახთან დაკავშირებულ საკითხზე აქტიურობის გამო შეუჩერეს ნოტარიუსის ლიცენზია.

– ივანიშვილის რეჟიმის ამ სამარცხვინო სტანდარტითაც კი სამარცხვინო მაგალითია. ადამიანის ოჯახის წევრი დაიღუპა იმ ვითარებაში, სადაც აშკარა კონტექსტი არსებობს მთავრობის მოქმედებების, რომ რაღაც როლი ითამაშეს ამ საქმეში. მე ხელს არავისკენ ვიშვერ. თქვენ გახსოვთ ალბათ მოსმენა, სადაც „ევროპული საქართველოდან“ სერგი კაპანაძე და ოთარ კახიძე იყვნენ, სადაც წუთებით დაუთვალეს, რომ ზეწოლის დაკვეთას ასრულებდნენ.

სიკვდილს არავის არ ვაბრალებ, „ოცნებისგან“ განსხვავებით, „ევროპული საქართველოს“ სტილი არ არის ტალახი ისროლოს. ფაქტი იყო, რომ უკანონოდ და სამარცხვინოდ ჰქონდა ზეწოლას ადგილი. ეს ადამიანი შემდეგ დაიღუპა და მისი შვილი, რომელიც ამ საკითხზე აქტიურობს, ახლა ხდება დამატებითი დევნის მსხვერპლი ქვეყანაში, სადაც მოსამართლეები პოლიტიკურ კამპანიას ეწევიან და ამაზე მმართველი გუნდი იძახდა, რომ არა უშავს და ხმა მისცეს და აირჩიეს ეს მოსამართლეები, ვინც, მაგალითად, საჯაროდ პოლიტიკურ ტალახს ესროდა სამოქალაქო საზოგადოებას.

ამ კაცს თავის ოჯახთან დაკავშირებულ საკითხზე სამოქალაქო აქტიურობისას ნოტარიუსის ლიცენზია შეუჩერეს. ეს არის სახე ამ სამარცხვინო ხელისუფლების და საქართველოში ამ მთავრობის მშვიდობიანი დამარცხების შემდეგ არასოდეს მსგავსი აღარ უნდა მოხდეს არავისთან მიმართებაში, – განაცხადა ბოკერიამ.

საკითხზე კომენტარი ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარემ, სოფო კილაძემაც გააკეთა.

– ბატონ ბაჩანა შენგელიაზე დისციპლინური მოკვლევაა დაწყებული და ეს საქმე დასრულდება, მაგრამ სამწუხაროა, რომ არჩევნების მოახლოებასთან ერთად, ჩვენი რადიკალური ოპოზიცია უფრო რადიკალური ხდება და ცდილობენ, რომ საპარლამენტო ფორმატი შოუს დადგმისთვის გამოიყენონ, – განაცხადა მან.

კილაძის თქმით, ოპოზიციის ნაწილი ბოროტად იყენებს იმ უფლებამოსილებას, რომელიც რეგლამენტით აქვს მინიჭებული.

ბაჩანა შენგელიას ინფორმაციით, მას 19 ივნისს ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე სანოტარო საქმიანობა შეუზღუდეს. აღნიშნულთან დაკავშირებით შენგელია იუსტიციის სამინისტროს ადანაშაულებს და პროკურატურას მიმართავს, ამ საქმეზე გამოძიება დაიწყონ. მან ასევე მიმართა არასამთავრობო ორგანიზაციებს და სახალხო დამცველს, შეისწავლონ აღნიშნული ფაქტი და მოახდინონ შესაბამისი რეაგირება.

ანრი ოხანაშვილი: „ჩაიარა ნაციონალური მოძრაობის და მისი კლასტერის მატარებელმა“

– კიდევ ერთხელ მიმყარდება რწმენა, რომ მართლაც ჩაიარა ნაციონალური მოძრაობის და მისი კლასტერის მატარებელმა. მათ ხელიდან გაუშვეს შანსი, რომ რაიმე ფორმით მაინც სახე შეენარჩუნებინათ და საკონსტიტუციო ცვლილებებისთვის მხარი დაეჭირათ, მაგრამ ნათელაშვილის გზას ადგანან და პარლამენტშიც ვეღარ მოხვდებიან.

ამის შესახებ იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ, ანრი ოხანაშვილმა ჟურნალისტებთან განაცხადა.

მისი თქმით, ოპოზიცია არც საარჩევნო კოდექსს დაუჭერს მხარს, ისევე, როგორც მხარი არ დაუჭირა საკონსტიტუციო ცვლილებებს.

– რაც არ უნდა ისაუბროს სააკაშვილ-ბოკერია-რურუას კლასტერმა ნათელაშვილის ენით, მარგინალური ჯგუფია ჩამოყალიბებული თავიდან ბოლომდე. თავი მოიჭრეს საერთაშორისო პარტნიორების

წინაშე, ერთი ამბავი ჰქონდათ ატეხილი, რომ თურმე მათთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო პროპორციული საარჩევნო სისტემა და ერთმანეთს არიან დარეულები და ვერ გადაუნაწილებიათ მაჟორიტარები. როგორ წარმოგიდგენიათ – პროპორციულ სისტემას უჭერდა ხალხი მხარს და მაჟორიტარებზე ჩხუბობენ? ერთი ამბავი აქვთ იქ, ნათელაშვილის ეზოში თუ ფანჩატურში გაჩაღებული.

„ქართული ოცნება“ ერთხელ და სამუდამოდ დაამარცხებს ამ ჯგუფს. ესაა მითი, რომ პროდასავლური ღირებულებები აქვთ, რეალურად კი დიპლომატს თავს ესხმიან, საკონსტიტუციო ცვლილებებზე კეკლუცობენ, რომ მხარს უჭერენ და შემდეგ არ დაუჭერენ, ეუთოს რეკომენდაციების შემუშავებაში მონაწილეობენ და იქ ეთანხმებიან, მაგრამ ხვალ აღმოჩნდება, რომ არ დაეთანხმებიან, ამას ჰქვია მარგინალური ჯგუფი, – განაცხადა ოხანაშვილმა.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი: 599-532-690
ვებგვერდი: **www. akhalitaoba.ge** ელ.ფოსტა: **axtaoba@mail.ru**

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ელისაშვილი პოლიტიკური კინტოა“

გიორგი ვაშაძე: ოცნებამ დაავალა ჩემ წინააღმდეგ გამოსვლა

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ახალი საქართველოს ლიდერი გიორგი ვაშაძე პასუხობს.

– ბატონო გიორგი, პარლამენტმა მესამე მოსმენით მიიღო კონსტიტუციური ცვლილებები, თუმცა ოპოზიცია ამ პროცესებს მიღმა დარჩა. რამდენად სწორი იყო ოპოზიციის ტაქტიკა?

– პირველ რიგში, ეს ჩვენი გამარჯვებაა. იმიტომ, რომ ჩვენ ვაიძულეთ „ქართული ოცნება“ საკონსტიტუციო ცვლილებები მიეღოთ. ნოემბერში, როცა მათ მოგვატყუეს და ჩააგდეს საკონსტიტუციო ცვლილებები, გახსოვთ, რომ ამბობდნენ, არაფერი არ შეიცვლებაო. აქედან გამომდინარე, სწორედ ჩვენმა ძალისხმევამ, ნოემბრიდან მოყოლებული, შედეგი გამოიღო და ეს ძალიან დიდი მიღწევაა. თუმცა იმისთვის, რომ 8 მარტის შეთანხმება შესრულდეს, აუცილებელია მისი მეორე კომპონენტის, პოლიტპატიმრების განთავისუფლების სრულად შესრულება, ამ შემთხვევაში, რურუაზე ვსაუბრობთ. პირველ მოსმენაზე მიიღო ოპოზიციამ მონაწილეობა, იმიტომ, რომ თუ პირველი მოსმენით ჩავარდებოდა, სხვა ალტერნატივა, გარდა იმისა, რომ არსებული სისტემა შენარჩუნებულიყო, არ იყო. მეორე, მესამე მოსმენაზე ძალიან სტრატეგიული ნაბიჯი გადავდგით, იმიტომ, რომ თუ ჩააგდებდა „ქართული ოცნება“, მაინც შეიძლებოდა დაბრუნება მეორე ან მესამე მოსმენით ამ კენჭისყრაზე. ამიტომ ვიმეორებ, რომ ეს არის ჩვენი დიდი გამარჯვება და ზუსტად ისეთივე ტაშით, როგორც მიეგება ამას „ქართული ოცნება“, აი ასეთივე ტაშით გადავლენ ოპოზიციაში, ამაში დარწმუნებული ვარ.

– აცხადებთ, რომ ჩვენი გამარჯვება და ჩვენი დიდი მიღწევაა, თუმცა თქვენი მონაწილეობის გარეშე და ეს რანაირად?

– ჩვენ ვითხოვდით შეთანხმების სრულად შესრულებას. როცა დავრწმუნდით, რომ ხმების საკმარისი რაოდენობა იყო, გამოვეთიშეთ ამ პროცესს.

– სრულად შესრულდესო აცხადებთ, თუმცა კონსტიტუციური ცვლილებებიც თქვენ გარეშე მიიღეს და რურუაც ციხეში რჩება. ამ ყველაფრის მერე, ალბათ, აღარც გამოუშვებენ...

– ჩემი აზრით, გამოუშვებენ, იმიტომ, რომ ვხედავთ, ჩვენი დასავლელი პარტნიორები ძალიან მკაცრად ითხოვენ შეთანხმების სრულად შესრულებას და არა ნაწილობრივ შესრულებას.

– დასავლელი პარტნიორების კომენტარები და განცხადებები, გუშინდელი დღიდან მოყოლებული, საკმაოდ დადებითი და რბილია „ოცნებასთან“ მიმართებაში. მიესალმებიან ხელისუფლების გადაწყვეტილებას და თანამშრომლობის სურვილსაც გამოთქვამენ. წესით, ეს ოპოზიციას უნდა აღელვებდეს.

– ძალიან კარგია თუ მიესალმებიან. ფაქტია, რომ ამ წნეხმა იმუშავა. აქვე არ დაგავიწყდეთ სენატორ რიშის ბოლო ინიციატივა, სადაც პირდაპირ არის საუბარი იმაზე, რომ თუ სრულად არ შესრულდა შეთანხმება, ასეთ შემთხვევაში, კონკრეტულ სანქციებზეა საუბარი საქართველოსთან მიმართებაში. ეს უკვე არ არის მხოლოდ განცხადება, ეს არის კონკრეტული ინიციატივა დოკუმენტში თავმოყრილი. მათ შორის საუბარია რურუას გათავისუფლებაზეც.

– რურუასთან დაკავშირებით დიდი გაუგებრობები მოჰყვა გერმანიის ელჩის განცხადებებს, სადაც ის საუბრობდა, რომ 8 მარტის შეთანხმებაში რურუას გვარი ნახსენები საერთოდ არ არის და ოპოზიციას მოუწოდებდა კენჭისყრაში მონაწილეობისკენ. რასაც ოპოზიციის მწვავე რეაქცია მოჰყვა. რამდენად სწორად მოიქცა ოპოზიცია?

– პირველი ის, რომ გერმანიის ელჩმა, სამწუხაროდ, შეცდომა დაუშვა, როცა ეს განცხადება გააკეთა. იმიტომ, რომ ყველა სხვა, ვინც ესწრებოდა, თვითონ გერმანიის მთავრობაც ამ განცხადებებს აკეთებდა, რომ ყველა პოლიტიკური პატიმარი უნდა განთავისუფლებულიყო, რურუას ჩათვლით. ეს შეცდომა ელჩს მოუვიდა და მე ვფიქრობ, ამით უნდა დავხუროთ ეს საკითხი. იმიტომ, რომ გერმანია ჩვენი ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი გულშემატკივარი ქვეყანაა, რომელიც გვეხმარება განვითარებაში და აქედან გამომდინარე, არ მგონია, რომ ამას განსაკუთრებით უნდა გამოვეკიდოთ. ელჩი თვითონაც ხვდება, რომ შეცდომა დაუშვა ამ განცხადებით.

– თუმცა ოპოზიციამაც გადაამლაშა, ზედმეტი მოუვიდა, ნამდვილად არ იყო ტაქტიანი. ასე არ თვლით?

– დიახ, იყო ზედმეტად გადაჭარბებული საკითხები ნახსენები, მაგრამ ვფიქრობ, რომ ამაზე განსაკუთრებული ყურადღება არ უნდა გავამახვილოთ.

– ბატონო გიორგი, რა ხდება ოპოზიციის შიგნით? დასახელდა 6 მაჟორიტარი, კიდევ ორი უნდა დაასახელოთ. მწვავედ დაუპირისპირდა ამ ერთობას თაკო ჩარკვიანი, ალეკო ელისაშვილი და მიდის ლანძღვა-გინება. ელისაშვილი აცხადებს, რომ 1%-იანი პოლიტიკოსი ხართ და თქვენი კანდიდატურა მაჟორიტარად არ უნდა დასახელებულიყო ისანში. რა აწყენინეთ ასეთი ელისაშვილს?

– სამწუხაროდ, ელისაშვილი, მართლაც პოლიტიკურ კინტოდ ჩამოყალიბდა.

– ასე რატომ შეიცვალა პოზიცია?

– არ ვიცი, ერთ ღამეში რატომ შეიცვალა ამ ადამიანის განწყობები, რაღაც პლატფორმა რომ შექმნეს, სწორედ იმის მერე, ნამდვილად არ ვიცი... ადგილებით ვაჭრობა, რომელიც მან დაიწყო, ეგონა, რომ ვინმე აყვებოდა ამაში. რადგანაც უარი მიიღო ამ ვაჭრობაზე, მერე ლანძღვა-გინებაზე გადავიდა.

– ანუ გარანტირებულ ადგილებს ითხოვდა და ვერ მიიღო?

– რა თქმა უნდა, ზუსტად ასეა. ეს ხომ ისედაც ფაქტია. რაღაცა სხვის რეიტინგზე რომ საუბრობ, უკაცრავად, მაგრამ გამოტოვებულ არჩევნებში მისმა კანდიდატმა რამდენი პროცენტი აიღო, კარგად დათვალოს! მე იმ საარჩევნო კამპანიის ხელმძღვანელი ვიყავი, რომელმაც ფაქტიურად საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტური მოიგო! აქედან გამომდინარე, ძალიან მეცინება ხოლმე, რა ტრანსფორმაცია გამოიწვია ამ ადამიანში ამ ყველაფერმა.

– თქვენსა და ვანო ჩხარტიშვილის ნათესაურ კავშირზეც ბევრს საუბრობს...

– ჯერ ერთი, ცრუ ინფორმაციას ავრცელებს, ვანო ჩხარტიშვილი ჩემი მეუღლის მამა არ არის, ბიძაა. ის ჩემი მეუღლის ბიძა იყო მაშინაც, როცა მე იუსტიციის მინისტრის მოადგილე ვიყავი...

– ეს თემა ძალიან აგორდა ბოლო პერიოდში, თავად ოპოზიციაში იყო ამ საკითხის განხილვა და საუბრები ამაზე.

– გეტყვით რატომ, ზუსტადაც, რომ ჩემი და ჩემი გუნდის მხარდაჭერა ყველაზე მეტად გაიზარდა, ყველა კვლევით და, როგორც ჩანს, სამწუხაროდ, სამიზნე გავხდი აქედან გამომდინარე. იმიტომ, რომ აქამდე არავის არ გასჩენია რამე მნიშვნელოვანი კითხვა ამასთან დაკავშირებით. ვფიქრობ, რომ ეს პირდაპირი დაკვეთაა. რაღაცნაირად უნდათ, რომ ხალხის მზარდი მხარდაჭერა შეაჩერონ, მაგრამ ეს არ გამოუვათ. კიდევ ერთხელ ვამბობ, ჩემი მსოფლმხედველობა ყველამ კარგად იცის, ჩემი და ჩხარტიშვილის მსოფლმხედველობა ყოველთვის განსხვავდებოდა, როცა მე ხელისუფლებაში ვიყავი, ის საერთოდ წასული იყო საქართველოდან. მეორეც, ყველამ იცის ჩემი პრინციპული დამოკიდებულება, ვანო ჩხარტიშვილი კი არა, ჩემი ძმაც რომ იყოს, კანონის წინაშე ყველა თანასწორი უნდა იყოს. თუ ვინმეს დანაშაული ჩაუდენია, ყველამ პასუხი უნდა აგოს. ამიტომ ეს არის ხელზე დახვეული იაფფასიანი ბრალდებები.

– ანუ ელისაშვილი განაწყენებულის პოზიდან საუბრობს?

– არა მარტო ეს, როგორც ჩანს, ელისაშვილმა დაკვეთაც მიიღო, რომ ჩემზე თავდასხმები განახორციელოს. იმიტომ, რომ „ქართულ ოცნებას“ ეშინია იმ მზარდი რეიტინგის, რაც მე და ჩემ გუნდს გვაქვს.

– საით გადაგაქვთ ისრები, რომ ელისაშვილი ხელისუფლების დაკვეთას ასრულებს?

– მე პირდაპირ ვიტყვი, რომ მას შემდეგ, რაც ეს რაღაცა პლატფორმა-გაერთიანება ჩამოაყალიბეს, რომლის საეჭვო დაფინანსებებზე დიდი ხანია იყო საუბარი, ამის შემდეგ აგრესიული კინტაური მოსცხო ალეკო ელისაშვილმა ჩემ წინააღმდეგ.

– თაკო ჩარკვიანზე რაღას იტყვით, მასაც დაუკვეთეს?

– თაკო ჩარკვიანმა თქვა, რომ საბურთალოზე აქვს ინტერესი, თუმცა, მე ვფიქრობ, რომ საერთო ენა აუცილებლად მოიძებნება და აქ ვერანაირ პრობლემას მე ვერ ვხედავ.

– იმის თქმა გინდათ, რომ მხარს დაუჭერთ მის კანდიდატურას?

– ჩამოვყალიბდებით. საერთო ჯამში, თაკო ჩარკვიანი არის გამორჩეული პიროვნება, რომელსაც ქვეყნის დასავლური ორიენტაციის მიმართულებით განვითარება სურს და ვფიქრობ, რომ მას მნიშვნელოვანი როლი შეუძლია ითამაშოს ამ არჩევნებში. ჩვენ ვართ საერთო კოალიციაში და დარწმუნებული ვარ, პოზიციებს შევაჯერებთ.

– სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაა მასა და გიგა ბოკერიას შორის. ევროპული საქართველო მისი კანდიდატურის კატეგორიული წინააღმდეგია...

– გასაგებია, ეს მათი პოზიციაა. გვექნება ამაზე მსჯელობა. მე აქ ვერ ვხედავ განსაკუთრებულ დიდ პრობლემას. ყველა უნდა დამშვიდდეს და მშვიდი თვალით უნდა შევხედოთ ამ სიტუაციას. ხელისუფლებას არ უნდოდა, რომ ჩვენი მაჟორიტარული შეთანხმება გამოსულიყო, ეს ცხადია, მაგრამ ჩვენ კიდევ ერთხელ ვაჩვენეთ მაღალი პროფესიონალიზმი ამ კუთხით. აქაც შევჯერდებით.

მურმან დუმბაძე: „ივანიშვილი უნდა შეეგუოს, რომ შეიძლება ოპოზიციაში გადასვლა მოუწიოს“

„თუ ივანიშვილი არ ჩაატარებს დემოკრატიულ არჩევნებს, მაშინ არჩევნები არალეგიტიმურად ჩაითვლება. არალეგიტიმური ხელისუფლება კი, არა ბიულეტენით, არამედ პანღურით მიდის და ამის გამოცდილებაც გვაქვს“

ნათია ხურცილავა

ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი მურმან დუმბაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო მურმან, თქვენ რამდენად იზიარებთ ოპოზიციის წარმომადგენლების მიერ გერმანიის ელჩის მისამართით გამოთქმულ შენიშვნებს?

– მე შემიძლია გითხრათ ერთი რამ დანამდვილებით: 8 მარტის შეთანხმება ბოლომდე არ არის შესრულებული, შესრულებულია მხოლოდ ერთი ნაწილი! თუმცა, არჩევნების შემდეგ ქვეყანაში მოვა ახალი ხელისუფლება და ის ბოლომდე შეასრულებს ამ შეთანხმებას.

– გჯერათ, რომ ხელისუფლება შეიცვლება?

– ეს ხელისუფლება ორი ვადით უკვე იყო ქვეყნის სათავეში. ასეთია ამ ქვეყნის ტრადიცია. არ ყოფილა არც ერთი მმართველი ორ ვადაზე მეტ ხანს ხელისუფლებაში. თან ჩვენ ვიცით, როგორია ხალხის განწყობები არსებული ხელისუფლების მიმართ. შეუძლებელია ივანიშვილი მესამე ვადით დარჩეს ხელისუფლებაში და ეს კარგად აჩვენა საპრეზიდენტო არჩევნებმა.

– როგორ არჩევნებს ელოდებით?

– ყველაფერი დამოკიდებულია ხელისუფლებაზე. თუ ხელისუფლებას არჩევნების გაყალბება არ უნდა, მაშინ პატიოსანი არჩევნები ტარდება ყოველგვარი გაყალბების გარეშე. პატიოსანი არჩევნების შედეგები კი ყველამ უნდა ვაღიაროთ, ეს არის დემოკრატია. დამარცხებულმა გამარჯვებულს უნდა მიულოცოს.

ამ ქვეყანას აქვს პატიოსანი, დემოკრატიული არჩევნების გამოცდილება. მაგალითად, 1991 წელს ზვიად გამსახურდიამ ჩაატარა იდეალური, დემოკრატიული არჩევნები, ყოველგვარი გაყალბების გარეშე, რასაც ვერ ვიტყვი დანარჩენ არჩევნებზე და რასაც ვერ ვიტყვი 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურზე, რომელიც იყო ასლან აბაშიძის სტილში.

– ასეთი არჩევნები თუ ჩატარდება, მაშინ ოპოზიცია მას აღიარებს?

– თუ ბიძინა ივანიშვილი არ ჩაატარებს დემოკრატიულ არჩევნებს, მაშინ არჩევნები არალეგიტიმურად ჩაითვლება. არალეგიტიმური ხელისუფლება კი, როგორც წესი, უკვე არა ბიულეტენით, არამედ პანღურით მიდის და ამის გამოცდილებაც გვაქვს. 2003 წლის 2 ნოემბერს ედუარდ შევარდნაძემ არალეგიტიმური არჩევნები ჩაატარა და მიიღო 23 ნოემბერი. ასე იქნება ახლაც თუ, რასაკვირველია, არადემოკრატიული არჩევნები ჩატარდება. ახალი არაფერი არ მოხდება, მოხდება ის, რაც მოხდა.

– ბატონო მურმან, მოვლენების ასეთ რადიკალურ განვითარებას ელოდებით?

– კი არ ველოდები, ეს არ მსურს და ამიტომ ვლაპარაკობ. ყველაფერი ხელისუფლების პოლიტიკურ ნებაზეა დამოკიდებული. არჩევნებს ოპოზიცია ვერ აყალბებს, არჩევნებს ხელისუფლება აყალბებს ყოველთვის.

მთელი საერთაშორისო პარტნიორები, შიდა თუ გარე ინსტიტუტები, არასამთავრობო სექტორი, პოლიტიკური ძალები, ამომრჩეველი ყველა მოწადინებული ვართ, რომ დემოკრატიული არჩევნები ჩავატაროთ. ბიძინა ივანიშვილმა ზუსტად იმდენი ხმა უნდა მიიღოს, რამდენ ხმასაც საქართველოს მოქალაქე მისთვის გაიმეტებს. ერთი ხმაც არ უნდა დაეკარგოს, მიიღებს 100 ხმას, ასივე ხმა უნდა აისახოს, მაგრამ თუ ვერ მიიღებს, მაშინ ეს ხმები სხვა პარტიებზე გადანაწილდება. მან უნდა გააკეთოს არჩევანი – რა უნდა. ატარებს დემოკრატიულ არჩევნებს და დიდი ალბათობით, ჩემი მრავალწლიანი გამოცდილებით, ის გადადის ოპოზიციაში. თუ გადაწყვეტს, რომ გინდა თუ არა, უნდა შეინარჩუნოს ძალაუფლება ნებისმიერ ფასად და აყალბებს არჩევნებს, მაშინ ყველაფერი გასაგებია. 90-იანი წლებიდან მოყოლებული, ყველა არჩევნები საქართველოში რევოლუციის ფონზე, რევოლუციური განწყობებით ჩატარდა.

დარწმუნებული ვარ, მთელი ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრი მოწადინებულია, მით უმეტეს, თითქმის პროპორციული საარჩევნო სისტემა მიღებულია, რომ ქვეყანაში ჩატარდეს სამართლიანი, ღირსეული არჩევნები.

– როგორ ფიქრობთ, თუ ამ არჩევნებში, „ქართული ოცნება“, როგორც თქვენ ამბობთ, დამარცხდა, ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში დარჩება?

– მაშინ რა უნდოდა პოლიტიკაში?! გამოდის, პოლიტიკაში მოდიოდა იმიტომ, რომ საყდრისი აეფეთქებინა?! თუ არჩევნებს წააგებს, დიახ, პოლიტიკაში უნდა დარჩეს, ოპოზიციაში უნდა გადავიდეს! თუ პოლიტიკა აინტერესებს, რატომაც არა?! ის უნდა შეეგუოს, რომ შეიძლება დამარცხდეს და ოპოზიციაში მოუწიოს გადასვლა. სააკაშვილიც დამარცხდა 1 ოქტომბერს და ის შეეგუა დამარცხებას, ასეთია პოლიტიკოსის ბედი. ეს არის პოლიტიკოსის ჩვეულებრივი ხვედრი. მიხეილ სააკაშვილსა და ბიძინა ივანიშვილს კი არა, ვაცლავ ჰაველს მოუწია ოპოზიციაში გადასვლა.

– ჩერჩილმა ომი მოიგო, მაგრამ არჩევნები წააგო.

– დიახ, აბსოლუტურად სწორად შემახსენეთ. ამაზე დიდი მაგალითი პოლიტიკაში არ არსებობს. ეს არის პოლიტიკის კლასიკური მაგალითი. ჩერჩილი წერს მემუარებს, ლიტერატურაში ნობელის პრემიის ლაურეატი ხდება და 5 წლის შემდეგ ისევ მოდის ძალაუფლებაში. თუმცა, ჰაველის, ჩერჩილის მაგალითების გვერდით არის ჩაუშესკუს, კადაფის მაგალითიც. არჩევანი ბიძინა ივანიშვილმა უნდა გააკეთოს, სად უნდა მას დადგეს, რომელ მხარეს. ღირსეულად უნდა შეგეძლოს მოგებაც და დამარცხებაც.

შევიძენ

ძველ ანტიკვარულ ნივთებს,
ნახატ სურათებს,
ძველ წიგნებს და ფაიფურს.
ტელ.: 598-43-98-57

გოგი წულაია: „ოცნებას“ ვურჩევ, ჭინთვებს და მეზღაპრეობას თავი დაანებოს“

„ხელისუფლება ცინიკურად იბრალებს იმას, რაშიც დამსახურება არ მიუძღვის“

მარიამ მჭედლიშვილი

ცოტა ხნის წინ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ნაციონალური მოძრაობა და ევროპული საქართველო მონაწილეობას არ მიიღებდნენ იმ საკონსტიტუციო ცვლილებების კენჭისყრაში, რომელიც ნანატრ პროპორციულ სისტემასთან მიახლოებული მოდელის შემოღებას წელსვე ითვალისწინებს, ხოლო „ქართული ოცნება“ მის დამტკიცებას საკუთარ გამარჯვებად მონათლავდა. რა ხდება ამ თვალსაზრისით? ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დეპუტატს, „თავისუფალი საქართველოს“ თანათავმჯდომარეს, გოგი წულაიას.

– როცა სამოქალაქო აქტივისტებმა მოისმინეს „ქართული ოცნების“ ლიდერების კვეხნა საარჩევნო საკონსტიტუციო ცვლილებებზე, გაოცდნენ. მათ გაიხსენეს, რომ პროპორციული სისტემის მოთხოვნის გამო მათ ეს ხელისუფლება იჭერდა. ახლა იგივე ხელისუფლება პროპორციულთან მიახლოებული სისტემის დამტკიცებას იბრალებს.

– მაგ სისტემის მოთხოვნას ახალგაზრდების თვალები შეეწირა. აქციის ზოგიერთმა მონაწილემ დაკარგა ჯანმრთელობა. ეს ხომ შარშან ივნისში მოხდა და ყველას გვახსოვს! მაგ დარბევით „ოცნება“ მოუკრეფავში გადავიდა. კიდევ კარგი, სახურავებზე ცხედრები არ აღმოჩნდა და დაღუპულები არ ყოფილან. სხვა მხრივ ხდებოდა იგივე, რაც 2011 წლის 26 მაისს. იმ დღეს მეც დავზარალდი. 120/30 მოდელი არის ქუჩაში გამოსული ახალგაზრდების დამსახურება. პოლიტიკურმა პარტიებმა ამაში ჩვენი წვლილი შევიტანეთ. აქ „თავისუფალი საქართველოს“ წვლილიცაა. პირადად მეც მიმიძღვის მცირეოდენი ამაგი. ამიტომ „ქართული ოცნების“ ტრაბახი და გამარჯვების მიწერა საკუთარ თავზე, ცინიზმი და თავხედობის მწვერვალია. მმართველი პარტია ისეთ ამბებს ჰყვება, რომ პირდაპირ მეზღაპრე გახდა. ეგ პარტია იყო, რომ ჯიქდებოდა და არაფრით არ თმობდა 73 მაჟორიტარს. არ უნდოდა სისტემის შეცვლა. ახლა მოაკლდებათ მაჟორიტარები და ეს მათთვის დიდი დანაკლისი იქნება.

– კეთდება განცხადებები, რომ ნაციონალურმა მოძრაობამ და ევროპულმა საქართველომ თავის პოლიტიკურ მომავალს ამ პროცესიდან ჩამოშორებით წერტილი დაუსვეს.

– ეს კიდევ ერთი ზღაპარია. ნაცმოძრაობამ „ქართულ ოცნებას“ პოლიტიკური ბრძოლის ეს რაუნდი პირწმინდად მოუგო. უცხოელი დიპლომატების მონაწილეობით გაკეთდა ის, რაც „ოცნებას“ არ უნდოდა. თან ხალხს ნაცარს აყრიან, გამარჯვებულები ვართო! ადრე „ქართულ ოცნებას“ ის ჰქონდა სატრაბახო, რომ ციხეებში სააკაშვილის დროინდელი სადიზმი არ არის და მიშა დავამარცხეთო. 8 წლის თავზე რა გამოდის? ნაციონალური მოძრაობა „ოცნებას“ აკეთებინებს იმას, რაც არ უნდა მმართველ პარტიას და გვინდა სხვებს ყველას! მომწონს ეს თუ არა, ასეა! რანაირად გამოდის სააკაშვილზე გამარჯვება?! ეს ხელისუფლება იმდენ რამეს იგონებს, ალბათ, იმასაც იტყვის, ოქრუაშვილისა და უგულავას გამოშვება ჩვენ დავგეგმეთო. იმასაც გვეტყვიან, რომ პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი, რომელიც დროის უმეტეს ნაწილს ექსკურსიებს უთმობს, თვითონ გამოვიდა მათი შეწყალების წინადადებით. არ შეიძლება საზოგადოებასთან ასე ლაპარაკი.

– ხელისუფლება საზოგადოებას ატყუებს?

– ხელისუფლება ცინიკურად იბრალებს იმას, რაშიც დამსახურება არ მიუძღვის. ხალხს რომ პატივს სცემდეს, ასე არ მოიქცეოდა. საკუთარი მოქალაქეები უნდა ჩათვალო ღირსეულ ადამიანებად. ისინი არ უნდა „დააბოლო“, თორემ კისერს წაიტეხ. ეს „მეოცნებეები“ ძალიან უცნაურად იქცევიან. მინდა მათ მოვუყვე ინგლისში არსებული „ქალთა კლუბის“ შესახებ. ამ ორგანიზაციის წესდებაში წერია, რომ გაუპატიურების შემთხვევაში, თუ წინააღმდეგობის გაწევას აზრი არა აქვს, დანებება ჯობია. „ოცნებას“ ვურჩევ, ჭინთვებს და მეზღაპრეობას თავი დაანებოს და არჩევნებს მიხედოს. თვითონაც მოემზადოს არჩევნებისთვის და სხვებსაც მოგვცენ ამის საშუალება. ნუ გადააყოლებენ ახალ საარჩევნო მოდელს ქვეყანას!

– რისი მომასწავებელია ეს მოდელი?

– ჩნდება შანსი, რომ რომელიმე ერთი პარტია არ იყოს დომინანტი პარლამენტში და მთავრობა არ დაკომპლექტდეს პრინციპით „მე ასე მინდა“. ჩვენ, პარტიებს (ოცნებას, ნაციონალურ მოძრაობასა და ევროპულ საქართველოს არ ვგულისხმობ) ბევრი მუშაობა მოგვიწევს. უნდა ვიწვალოთ ბევრი, რომ პარლამენტში გადაწყვეტილებები ვინმეს ახირებით, უცებ არ მიიღებოდეს. ყველა კანონპროექტი, ყველა გადაწყვეტილება უნდა იყოს შეთანხმების, მსჯელობის შედეგი. მაია ნადირაძის მიერ გამოცხადებული წესები უნდა დამთავრდეს.

– ნაციონალების დროს, როცა მაია ნადირაძე პარლამენტში უმრავლესობის ლიდერი იყო, მან ოპოზიციას უთხრა, ჩვენ ვართ უმრავლესობაში და რასაც გვინდა, იმას გავიტანთო. ამაზე საუბრობთ?

– დიახ. ახლა ჩვენ ვართ, რასაც გვინდა, იმას ვიზამთ, მერე, თქვენ რომ იქნებით, რაც გინდათ, გააკეთეთო. ნაციონალური მოძრაობაც ამ პრინციპით მუშაობდა და „ქართული ოცნებაც“. ეს სისტემა მომავალ პარლამენტში მაინც უნდა შევცვალოთ. გვჭირდება ქმედუნარიანი პარლამენტი. ეს სჭირდება საზოგადოებასაც. ამიტომ, არჩევნებზე უნდა მივიდეთ და გავაკეთოთ გააზრებული არჩევანი. ხალხს იმასაც ვურჩევ, ნუ შეიყვარებენ პოლიტიკოსებს. პოლიტიკოსი უნდა მოგწონდეს, ან არ მოგწონდეს. შესაყვარებლად სხვა უამრავი რამეა – ნათესავები, მთა, ზღვა, მდინარე, ქალაქი, სოფელი და სხვა.

– მაჟორიტარად კენჭისყრას ხომ არ აპირებთ?

– მაჟორიტარად კენჭისყრას დიდი თანხები სჭირდება. სამაგისო ფული არ მაქვს. ისე, მაჟორიტარების ხმები დაემატებოდა პროპორციულის ხმებს და ეს კარგი იქნებოდა პარტიისთვის, პარლამენტისთვის. ჯერ გადაწყვეტილება არ მიმიღია. თუ მივიღე, ან ქუთაისში ვიყრი კენჭს, ან – მარტვილში.

ვახტანგ გომელაური: „გიორგი შაქარაშვილის საქმეზე ექსპერტიზის დასკვნის შემდეგ გამოჩნდება, საით უნდა წავიდეს გამოძიება“

– გიორგი შაქარაშვილის საქმეზე ექსპერტიზის დასკვნის შემდეგ გამოჩნდება, საით უნდა წავიდეს გამოძიება.

ამის შესახებ შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა საკოორდინაციო საბჭოს სხდომის შემდეგ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

– ძალიან მძიმე შემთხვევაა და პირველ რიგში, მინდა მივუსამძიმრო ოჯახის წევრებს, ახლობლებს, მეგობრებს. ყველა ჩვენგანისთვის ძალიან მძიმე იყო. ამ გამოძიების ირგვლივ მე ბევრს ვერ ვისაუბრებ, იქიდან გამომდინარე, რომ ჯერ ექსპერტიზის დასკვნაც კი არ არის მოსული. ჩართული ვართ, რა თქმა უნდა, შინაგან საქმეთა სამინისტრო, პროკურატურა, ყველა საგამოძიებო უწყება და ველოდებით დასკვნას.

დასკვნის შემდეგ უკვე გამოჩნდება, თუ საით უნდა წავიდეს გამოძიება. დღეს, რის საშუალებასაც ფაქტები გვაძლევს, ამ მიმართულებით წავედით და ისევ და ისევ, ყველა, როგორც დაკავებულების ადვოკატები, ასევე, დაზარალებული ოჯახის ადვოკატი, ველოდებით სამხარაულის ექსპერტიზის დასკვნას.

მეტს ვერ ვისაუბრებ ამ თემიდან გამომდინარე. მაქსიმალურად გახსნილი ვართ ყველა მიმართულებით, აქედან გამომდინარე, თუ რამე ბრალდება აქვთ, მათ შეუძლიათ, გვითხრან პირდაპირ. მაქსიმალურად ვმუშაობთ ყველასთან, – განაცხადა ვახტანგ გომელაურმა.

შინაგან საქმეთა მინისტრმა საკოორდინაციო საბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ საქართველოს საზღვართან დაკავშირებით სოციალურ ქსელებში გავრცელებული ინფორმაციის შესახებ განმარტება გააკეთა. მისი განცხადებით, ყველა მეზობელ სახელმწიფოსთან საზღვარი დაკეტილია.

– მე მინდა, ყურადღება გავამახვილო ბოლო დროს სოცქსელებში გავრცელებულ ინფორმაციაზე, ასევე, პრესაშიც გავრცელდა, თითქოს საქართველოს საზღვარი გახსნილია, მით უმეტეს, აქცენტი გაკეთებული იყო, რომ რუსეთთან გახსნილია, შემოდიან რუსეთის მოქალაქეები, შემოდიან ავტომანქანებით.

მე მინდა, სწორი ინფორმაცია მივაწოდო ჩვენს მოქალაქეებს, ჩვენს მოსახლეობას. საზღვარი დაკეტილია ყველა მიმართულებით, როგორც ჩვენს მეზობელ ქვეყნებთან, ასევე, რუსეთთან. მხოლოდ და მხოლოდ გახსნილია იმ შემთხვევაში, თუ არის ჩვენი მოქალაქე. თუმცა, შემოსვლის დროს ყველა მათგანი მიდის ორკვირიან კარანტინში. ესენი არიან, უმეტეს შემთხვევაში, ორმაგი მოქალაქეები საქართველოსი, აქვთ ორმაგი მოქალაქეობა, სტუმრებს, ვიზიტორებს, ვინც შემოდიან და არიან, რა თქმა უნდა, რუსეთის მოქალაქეები, რომლებიც არიან მათი ან შვილები, ან მეუღლეები. ჩვენ უფლება არ გვაქვს, რომ ისინი შევაჩეროთ და გავაბრუნოთ უკან. თუ მშობლები არიან ორმაგი მოქალაქეები, შვილს ჩვენ ვერ დავტოვებთ სხვა ქვეყანაში. თუმცა, მას ხშირ შემთხვევაში არ აქვს ჩვენი ქვეყნის მოქალაქეობა.

აქედან გამომდინარე, ხდება ეს, რაც, ვთქვათ, გავრცელდა სოცქსელებში, რომ დადიან რუსულნომრებიანი მანქანები და დადიან რუსეთის მოქალაქეები. ასევე, მინდა დამატებით გითხრათ, რომ არის დარჩენილი რუსეთის ძალიან ბევრი მოქალაქე, ვინც არ წავიდა ამ კორონავირუსის დაწყების შემდეგ და დარჩა საქართველოში. უკვე რამდენიმე თვე გამოდის, რაც აქ არიან, არ ტოვებენ ისინი ქვეყანას. ისინი ლეგალურად არიან აქ. უფლება აქვთ ჯერჯერობით იყვნენ, ანუ ვადა არ გასვლიათ საქართველოში ყოფნის უფლების. აქედან გამომდინარე, მათ იძულებით ვერ გავუშვებთ ქვეყნიდან, – განაცხადა ვახტანგ გომელაურმა.

24 წლის შ.გ.-მ ყოფილი შეყვარებულის დაწვა სცადა

„ჯერ ბენზინი მიასხა, მერე მოლოტოვის კოქტეილი ესროლა“

29 ივნისს დიდუბეში 24 წლის მამაკაცმა ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე ამავე ასაკის ქალს ბენზინი შეასხა და ცეცხლი წაუკიდა.

ირკვევა, რომ ბრალდებული შეყვარებულთან დაშორების შემდეგ მას შერიგებას აიძულებდა, კატეგორიული უარის გამო კი თავს დაესხა, ბენზინი შეასხა და ცეცხლი წაუკიდა.

დაშავებული დამწვრობის ცენტრში გადაიყვანეს. სამედიცინო დაწესებულების დირექტორმა, გუგა ქაშიბაძემ „პრაიმტაიმს“ განუცხადა, რომ ქალის მდგომარეობა მძიმეა.

– სხეულის 37 პროცენტი აქვს დამწვარი. ამჟამად რეანიმაციაში იმყოფება. ჯერჯერობით არაფრის თქმა არ შეგვიძლია, – განაცხადა გუგა ქაშიბაძემ.

დაზარალებულის მეზობელი სოფიო ხუნდაძე ყვება, რომ მამაკაცმა ეზოში ჯერ ბენზინი მოასხა, შემდეგ კი მოლოტოვის კოქტეილი ისროლა.

ის პოლიციას სწრაფი რეაგირებისთვის მადლობას უხდის.

– ღამით, ასე პირველი საათისკენ, ვიღაც იდიოტმა განზრახ მკვლელობის მიზნით ჩემს მეზობელ გოგოს ცეცხლი წაუკიდა.

ტიპმა ჯერ ბენზინი მოასხა ეზოში, შემდეგ დაუკაკუნა კარზე და ე. წ. მოლოტოვის კოქტეილი ისროლა.

იყო საშინელი აფეთქების ხმა, შავი კვამლი და სრული უკუნეთი. დაზარალებულს სხეულის 40% აქვს დამწვარი, მძიმე მდგომარეობაშია.

მადლობა ღმერთს, თავის დროზე მოვახდინეთ რეაგირება და სახანძროს მოსვლამდე ცეცხლი ჩავაქრეთ.

დამნაშავემ ისე გააკეთა, რომ ეზოში ვერავინ შევიდოდა, ჭიშკარსაც კი ვერ მივუახლოვდით თავიდან.

მინდა დიდი მადლობა გადავუხადო უცნობ ბიჭებს, რომლებიც გვეხმარებოდნენ ცეცხლის ლოკალიზებაში, რომ არა ისინი, არ ვიცი, მარტო ჩვენი ძალებით როგორ გადავრჩებოდით.

კარგი ადამიანები ხართ, ისეთი პანიკა იყო, მადლობაც ვერ გითხარით. შოკში ვიყავით, ვერც ვაცნობიერებდით, რას და რატომ ვაკეთებდით, წამის მეასედითაც რომ დაგვეგვიანა, არ ვიცი, რა მოყვებოდა ამ ყველაფერს.

და მადლობა პოლიციას სწრაფი მოქმედებისთვის. არა მარტო ეკიპაჟებს, არამედ იმ ადამიანებს, რომლებმაც ადამიანურობა გამოიჩინეს, მიატოვეს სამუშაო ადგილი და დასახმარებლად მოვიდნენ, – თქვა ადგილობრივმა.

თვითმხილველების ინფორმაციით, დაკავებულმა პირმა წინასწარ დაგეგმა ეს დანაშაული, რისთვისაც წინასწარ აღმართა ხელოვნური ბარიერები, რომ ირგვლივ მყოფ ადამიანებს ხელი არ შეეშალათ მკვლელობაში.

– გავიგე აფეთქების ხმა, რასაც მოჰყვა ღრიალი. განწირული ხმით ღრიალებდა თვითონ დაზარალებული. ცეცხლი ისე იყო მოკიდებული, რომ შესასვლელში, ჭიშკარს ვერც მივუახლოვდებოდით და ვერც ეზოში შეხვიდოდი, ზემოდანაც ვერ ჩავედით. ეს გოგო სიმწრისგან სახლში შევარდა და ჩემი და ამბობს, რომ შლანგი იყო შეერთებული და იმ შლანგით იქრობდა ცეცხლს ტანზე. მთელი ფეხები და ხელები სულ დამწვარი აქვს, – უთხრა „კურიერს“ სოფო ხუნდაძემ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დიდუბე-ჩუღურეთის პოლიციის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1996 წელს დაბადებული შ.გ. განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ შ.გ.-მ, ურთიერთშელაპარაკებისას, 1996 წელს დაბადებულ ს.შ.-ს საცხოვრებელ სახლთან სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, ბენზინი მიასხა და ცეცხლი წაუკიდა. ს.შ. მიღებული სხეულის დამწვრობით კლინიკაში გადაიყვანეს.

სამართალდამცველებმა ნივთმტკიცებად ბენზინის ბოთლი ამოიღეს.

დაკავებული დანაშაულს აღიარებს.

განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-108-ე მუხლით მიმდინარეობს.

არჩილ გაგნიძე: „19 ივნისს, საღამოს 10-ზე, სახლის წინ ვსვამდით ლუდს, როცა 10 აღელვებული ახალგაზრდა მოვიდა ჩვენთან“

როგორ აღმოჩნდნენ მორაგბეები ნარეკვავის აგარაკზე

ფეხბურთელ გიორგი შაქარაშვილის გარდაცვალების საქმეზე დაკავებული ერთ-ერთი მორაგბის, არჩილ გაგნიძის განცხადებით, ამავე საქმეში ფიგურანტმა რამდენიმე პირმა მცხეთაში გაყოლა არა საჩხუბრად, არამედ ავტომანქანის წამოსაყვანად სთხოვეს, ვინაიდან თავად ნასვამები იყვნენ. ამის შესახებ გაგნიძე გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში აცხადებს, რომელიც „ინტერპრესნიუსმა“ მოიპოვა.

არჩილ გაგნიძე

„2020 წლის 19 ივნისს, საღამოს პერიოდში, დაახლოებით 22:00 საათისთვის, ზუსტი დრო არ მახსოვს, ვიმყოფებოდი ქალაქ თბილისში, ცოტნე დადიანის ქუჩაზე, ჩემს საცხოვრებელ სახლთან ეზოში, იქ იმყოფებოდა ჩემი მეგობარი და უბნელი ვასო მახარაძე. ასევე, შორიახლოს იმყოფებოდნენ ჩვენი უბნელი სხვა პიროვნებებიც, რომელთა სახელები და გვარები აღარ მახსოვს. მე ვსვამდი ლუდს, ამ დროს, ჩემთან მოვიდნენ ჩვენი ზედა უბნის ახალგაზრდები. დაახლოებით, 10 ახალგაზრდა, რომელთაგან ორი ჩემი უბნელია. მათი სახელები და გვარები ჩემთვის უცნობია. აღნიშნული პიროვნებები არიან, დაახლოებით, 18-19 წლისანი, აღნიშნულმა ახალგაზრდებმა იქ მყოფ პიროვნებებს ემოციურად დაგვიწყეს მოყოლა, რომ ისინი იმავე დღეს საქეიფოდ იმყოფებოდნენ მცხეთაში, ერთ-ერთ სახლში, რომელიც განთავსებულია საავტომობილო ტრასის პირას, „ლიდერფუდის“ შენობის უკან. იქ შეკრებილები იყვნენ კლასელები და ქეიფობდნენ. კლასელების გარდა, იქ სხვა პიროვნებები იმყოფებოდნენ თუ არა, მე იქ მათგან არ გამიგია. მათი განმარტებით, სუფრასთან ქეიფის დროს, მათ ჩემთვის უცნობ პიროვნებებთან მოუხდათ ჩხუბი და ისინი წამოვიდნენ ქალაქ თბილისში. წამოსვლისას ერთ-ერთ მათ თანაკლასელს ქეიფის ადგილას დარჩა საკუთარი ავტომანქანა, რომელიც ვერ წამოიყვანა, რადგან ნასვამ მდგომარეობაში იყო. ასევე, მათივე განმარტებით, ადგილზე დარჩნენ მათი მეგობრები, რომლებიც წამოსაყვანები იყვნენ. ამიტომ, ახალგაზრდებმა ჩვენ გვთხოვეს, რომ ჩვენგან რომელიმე, ფიზიზელ მდგომარეობაში მყოფი პიროვნება, მათ მცხეთაში გაჰყოლოდა, დამჯდარიყო მათი იქ მყოფი ავტომანქანის საჭესთან და დარჩენილ მეგობრებთან ერთად წამოეყვანა ის თბილისში.

მე და ვასო მახარაძე დავეთანხმეთ მათ თხოვნას. ვასო მახარაძე დაჯდა მათთან ერთად მყოფი ერთ-ერთი ახალგაზრდის „ტოიოტა ქამრის“ მარკის ავტომანქანის საჭესთან, მე დავჯექი მის გვერდით სავარძელზე, ხოლო იქ მყოფი ახალგაზრდები, 4 კაცი, მათ შორის, იმავე ავტომანქანის მფლობელი, რომლის გვარია ჩიქოვანი, სახელი არ ვიცი, ხოლო მეორეა ჩემი უბნელი ნიკა რევაზიშვილი, დასხდნენ იმავე ავტომანქანის უკანა სავარძელზე და ჩვენ წავედით მცხეთაში.

ჩვენ მივედით მცხეთასთან, ცენტრალური საავტომობილო ტრასის პირას არსებული „ლიდერფუდის“ შენობასთან, ტრასიდან ჩავუხვიეთ ხელმარჯვნივ და მალევე მივედით რკინის ჭიშკართან. გარეთ ჭიშკართან იდგნენ ახალგაზრდა გოგონა და ბიჭი. ჩვენ გავაჩერეთ ავტომანქანა, უკანა სავარძელზე მყოფმა ახალგაზრდებმა მათ ჰკითხეს, სად იყო ავტომანქანა, რომელიც ჩვენ უნდა წაგვეყვანა თბილისში, რაზეც იქ მყოფებმა უპასუხეს, რომ „მანქანა წაიყვანესო“, მაგრამ ვინ წაიყვანა, არ დაუსახელებიათ. ამის შემდეგ, ჩვენ იმავე ავტომანქანით გამოვბრუნდით უკან, შევუხვიეთ ტრასაზე და წამოვედით ქალაქ თბილისის მიმართულებით.

გზაზე, ტრასის პირას, ჩვენ შემოგხვდა ფეხით თბილისის მიმართულებით მიმავალი ბიჭები, 4 პიროვნება. უკან მსხდომებმა ვასო მახარაძეს სთხოვეს, რომ შეეჩერებინა მანქანა, რათა გაეგოთ, ხომ არ იყვნენ ისინი მათი ახლობლები. ამის გამო, ვასო მახარაძემ იმ ბიჭებთან გააჩერა მანქანა და ჩვენ გადავედით მანქანიდან. მანქანიდან ჩვენი გადასვლისთანავე, გზაზე ფეხით მიმავალი პიროვნებები გაიქცნენ დასავლეთის მიმართულებით, გადაირბინეს იქ არსებულ მდინარეზე გადამავალი ხიდი, ანუ საავტომობილო ტრასა ფეხით გადაკვეთეს და ხიდის პირას მოეფარნენ ჩემი თვალთახედვის არეს. აქვე დავამატებ, რომ მანქანიდან ჩემი გადასვლისა და იქ მყოფი 4 პიროვნების დასავლეთის მიმართულებით გაქცევისთანავე, მე ფეხით სწრაფი სიარულით გავყევი მათ და ვეძახდი, რომ არ გაქცეულიყვნენ და შეჩერებულიყვნენ. ჩემთან ერთად გაქცეულ 4 პიროვნებას უკან მიყვებოდა აგრეთვე ჩვენს მანქანაში უკანა სავარძელზე მჯდომი ოთხივე ახალგაზრდა, რომელთაგან ორი მათგანი ასევე ჩქარი ნაბიჯებით მიდიოდა წინ, ხოლო დანარჩენი ორი ჩემ უკან. ჩემთან ერთად გაქცეულ პიროვნებებს გაყოლილი ახალგაზრდები ასევე ეძახდნენ მათ რაიმეს, მე ვერ გავიგონე, რადგან ტრასაზე მოძრაობდნენ ავტომობილები, ამის გამო იყო ხმაური.

რაც შეეხება ვასო მახარაძეს, ის სად იმყოფებოდა, აღარ მახსოვს. როცა გაქცეული პიროვნებები მიეფარნენ თვალს, მე მივედი იმ ადგილას, საიდანაც ისინი მიეფარნენ თვალს და ხელმარჯვნივ, ხიდის ქვეშ, გავყევი მოასფალტებულ, მოსაბრუნებელ გზას, რომლის გადასწვრივ, ჩემი მოძრაობის მიმართულებიდან ხელმარცხნივ შევნიშნე ძველებური, მცირე ზომის შენობა. მოასფალტებულ გზაზე მე ფეხით გავიარე, მაქსიმუმ, 100 მეტრის მანძილი, მაგრამ ჩემ გარშემო და წინ ვერავინ დავინახე, გარდა ჩემთან ერთად მომავალი ჩვენი მანქანის უკანა სავარძელზე მჯდომთაგან ორი ახალგაზრდისა. მე მოვტრიალდი და ფეხით წამოვედი უკან.

აღნიშნული ორი ახალგაზრდაც გამომყვა უკან და ჩვენ მივედით იმავე ადგილას, სადაც ჩამოვედით ცენტრალური საავტომობილო ტრასიდან. იქ მისულს ადგილზე უკვე დაგხვდა ჩვენი ავტომანქანა „ტოიოტა ქამრი“, რომელშიც იჯდა ვასო მახარაძე, მანქანა იდგა ზემოაღნიშნულ ძველ შენობასთან ახლოს, საავტომობილო გზის გვერდულზე, როდესაც იქ მივედი, ჩვენთან ერთად მყოფი დანარჩენი ორი ახალგაზრდა მე ვერ შევნიშნე. მე მივედი და დავჯექი მანქანაში მძღოლის გვერდით, ამ დროს, ჩემთან ერთად ფეხით წამოსული ორი ახალგაზრდა სად იმყოფებოდა და რას აკეთებდა, ვეღარ შევნიშნე.

მე მანქანაში დაჯდომისას გავიხედე მარჯვენა მხარეს და მანქანიდან დაახლოებით 3 მეტრში, დავინახე, რომ ჩვენთან ერთად მყოფმა ორმა ახალგაზრდამ იქ მიწის ზედაპირზე არსებული ბალახებიდან წამოაყენა ერთი, ჩემთვის უცნობი დაახლოებით, მათივე ტოლი ასაკის მამაკაცი, მოკიდეს ხელი და მოიყვანეს მანქანასთან. მე იმ მომენტში არ დამინახავს, რომ ზემოაღნიშნულ ჩემთვის უცნობ ახალგაზრდა მამაკაცს მისი მომყოლი პიროვნებები უხეშად მოპყრობოდნენ, ან შეურაცხმყოფელი სიტყვებით მიემართათ მისთვის. იგი საკუთარი ფეხით ჩაჯდა ჩვენს მანქანაში უკანა სავარძელზე, დანარჩენი მანამდე ჩემთან ერთად მყოფი 4 ახალგაზრდაც დაჯდა იმავე უკანა სავარძელზე და ჩვენ წამოვედით თბილისის მიმართულებით. მგზავრობისას, როცა შემოვედით თბილისში, იმ უცნობ ახალგაზრდას ვუთხარი, რომ მას მანქანიდან ჩამოვსვამდით ხალხმრავალ და შემდგომი ტრანსპორტირებისთვის ხელსაყრელ ადგილას, რათა ის ადვილად დაბრუნებულიყო სახლში“ – აცხადებს გაგნიძე.

გამომძიებლის კითხვაზე, როცა „ტოიოტა ქამრით“ თბილისის მიმართულებით მგზავრობდნენ, მანქანაში ბოლოს დამჯდარ ახალგაზრდას ხომ არ მიუმართავს მისთვის, ან ვასო მახარაძისთვის, გაგნიძე პასუხობს, რომ „ახალგაზრდას მისთვის, ან ვასო მახარაძისთვის რაიმეს თხოვნით არ მიუმართავს და რომ მხოლოდ მან შესთავაზა წყალი, რაზეც უარი განუცხადა“.

შავი ფერის „ტოიოტა ქამრიში“ ისხდნენ ბრალდებულები: არჩილ გაგნიძე, ვასილ მახარაძე, ვახო ჩიქოვანი, აკაკი ქვრივიშვილი, ნიკოლოზ რევაზიშვილი, არასრულწლოვანი – ზ.ხ.

გამომძიების ინფორმაციით, გიორგი შაქარაშვილს, გური ამირხანაშვილს და ვახო ახვლედიანს, რომლებიც ნაცემი გიორგი ქათამაძის დასახმარებლად მას შემდეგ დაბრუნდნენ, რაც საქმეში კიდევ ერთი ფიგურანტი მანქანა – „მერსედესი“ წავიდა, დაახლოებით 00:50 საათზე, თავს დაესხნენ ვახო ჩიქოვანი, ვასილ მახარაძე, აკაკი ქვრივიშვილი, არასრულწლოვანი ზ.ხ., არჩილ გაგნიძე და ნიკოლოზ რევაზიშვილი, რომლებმაც სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს გიორგი შაქარაშვილს, გური ამირხანაშვილს, გიორგი ქათამაძეს და ვახო ახვლედიანს და ცდილობდნენ მათზე ძალადობას.

საფრთხის თავიდან არიდების მიზნით, გიორგი შაქარაშვილი, გური ამირხანაშვილი და ვახო ახვლედიანი გაიქცნენ საავტომობილო გზაზე და გადავიდნენ გზის საპირისპირო მიმართულებაზე, შემდგომ კი გზიდან მარჯვენა მხარეს არსებული ბუჩქნარისკენ. გური ამირხანაშვილი, გიორგი ქათამაძე და ვახო ახვლედიანი დაიმალნენ მდინარე არაგვის მიმდებარედ, ბუჩქნარში, ხოლო გიორგი შაქარაშვილი გაიქცა მდინარე არაგვის მიმართულებით.

ვასილ მახარაძემ, ვახო ჩიქოვანმა, აკაკი ქვრივიშვილმა, არასრულწლოვანმა ზ.ხ.-მ, არჩილ გაგნიძემ და ნიკოლოზ რევაზიშვილმა დაიწყეს მიმართულების ძებნა და იპოვეს ბუჩქებში დამალული გური ამირხანაშვილი, რომელსაც უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება – მისი ნების საწინააღმდეგოდ ჩასვეს ავტომობილის უკანა სავარძელზე, დაუსხდნენ ორივე მხრიდან და მისი ნების საწინააღმდეგოდ წაიყვანეს თბილისში.

არჩილ გაგნიძის გამოკითხვის ოქმის მიხედვით, ის „ბოლნისის ყოჩების“ სპორტსმენი იყო და ამავდროულად, „ვოლტში“ კურიერად მუშაობდა.

მზია ქასრაშვილი

❖ ❖ ❖

ვახო ახვლედიანის ადვოკატი, მზია ქასრაშვილი საქმის დეტალებზე საუბრობს და ვარაუდობს, რომ შესაძლოა, გიორგი შაქარაშვილი მართლაც მოკლეს.

როგორც მან ჟურნალისტებთან განაცხადა, მისი დაცვის ქვეშ მყოფი განიცდის, რომ გიორგი შაქარაშვილი ვერ გადაარჩინა.

– გუშინ, დამოუკიდებელმა ექსპერტმა ალექსანდრე გეჯაძემ განაცხადა, რომ შაქარაშვილს ბლაგვი საგნით დარტყმა აქვს მიყენებული, რომელიც მუშტს არ ჰგავს, უფრო ძლიერია. ამან უფრო გამიჩინა ეჭვი, რომ ეს არის მკვლელობა. რა თქმა უნდა, ეს ჩემი მოსაზრებაა და არა სხვისი. ამდენ ხანს დარწმუნებული ვიყავი, რომ მას თითქოს ფეხი დაუცდა. ექსპერტიზა რას დაადგენს, მასზეა დამოკიდებული.

რაც შეეხება გიორგისა და ჩემი დაცვის ქვეშ მყოფის ურთიერთობას, როდესაც ისინი მეორე ავტომობილის მოსვლის შემდეგ გამორბიან, პირველი მირბის შაქარაშვილი, მეორე მირბის ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი და მესამე, უკან მოსდევთ ამირხანაშვილი. გიორგი ძალიან სწრაფი ნაბიჯით და პირდაპირ მიდის. როგორც ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი ამბობს, სადაც კი ვნახე, რომ ბეტონის ფილა აღარ იყო, მაშინვე გზა ჩავჭერი, ციცაბო იყო, მაგრამ ამას უკვე მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, რადგან ძალიან მძიმე მდგომარეობაში ვიყავით, უკან არაერთი ადამიანი მოგვდევდა, მძიმე სუნთქვითა და გინებითო. ისინი გამარჯობის სათქმელად არ მოდიოდნენ, ამიტომ, თავიანთი თავის გადასარჩენად ყველაფერი უნდა გაეკეთებინათ.

მან ჩაჭრა ციცაბო, გადავიდა მეორე გზაზე, სადაც ხიდია. იქ დღე ვერ ჩავიდოდა, ორი ნაბიჯი რომ გადაედგა, უკვე არაგვში იქნებოდა, მაგრამ კიდევ კარგი, რომ მან ეს არ იცოდა და იქვე ბუჩქებში ჩაჯდა. არ ვიცი, რას ჩავეჭიდეო, პლასტმასის ბოთლები იყო და ამან უფრო გამიიოლა ჩასვლა, ჩავსრიალდიო, თან წინა დღეებში წვიმა იყო და ნიადაგი სველი იყოო. ბუჩქებს მოვკიდე ხელი, რომ მთლად არ გადავვარდნილიყავიო. მთლიანად დაკაწრულია, შორტი ეცვა და მთლიანად დაჩხაპნილია, შემოხეული აქვს ყველაფერი ეკლებისა და ბუჩქებისგან, იქ დაახლოებით 30-35 წუთი ვიყავი და მესმოდა ხმები „სად წახვედით, გამოდით“ და გინებაო. როდესაც გიორგი წინ მირბოდა, ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი პირის მხედველობის არეალში გიორგი უკვე დაიკარგა და არ იცოდა, სად იყო, – აცხადებს ადვოკატი.

ადვოკატის განმარტებით, მისი დაცვის ქვეშ მყოფმა დასახმარებლად თავის მეგობრებს დაურეკა, რომლებმაც ტაქსი გამოგზავნეს.

– მას რომ სცოდნოდა, გიორგი იქვე იყო დამალული, მაშინ აუცილებლად მოძებნიდა, ამასაც ნერვიულობს, რომ მე ის ვერ გადავარჩინეო. არ ვიცოდი, თორემ არ წამოვიდოდი, მთელ ღამეს იქ გავათენებდი და მოვძებნიდიო, – აცხადებს მზია ქასრაშვილი.

ქალის მოტაცებისთვის მარნეულში 3 პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის მარნეულის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1977 წელს დაბადებული ა.ფ., 2000 წელს დაბადებული ი.მ. და 2002 წელს დაბადებული ი.ი., წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ თავისუფლების უკანონო აღკვეთის ბრალდებით, მარნეულში დააკავეს.

დანაშაული 7-დან 10 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ა.ფ.-მ მარნეულის მუნიციპალიტეტში, ორ თანამზრახველთან ერთად, ქორწინების მიზნით, 1997 წელს დაბადებულ ა.მ.-ს თავისუფლება უკანონოდ აღუკვეთა.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ თავისუფლების უკანონო აღკვეთას გულისხმობს.

სუსმა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომელი და კიდევ 2 პირი დააკავა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის კახეთის რეგიონალური სამმართველოს თანამშრომელი, ხოლო ჯგუფურად უკანონო სამეწარმეო საქმიანობის, ჯგუფურად უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის და ჯგუფურად ყალბი სასაქონლო ზედნადებების დამზადებისა და გამოყენების ფაქტზე ორი პირი დააკავეს.

გამოძიებით დგინდება, რომ 2019 წლის ნოემბერში, ინდივიდუალურმა მეწარმემ და მასთან დაახლოებულმა პირმა განიზრახეს სასარგებლო წიაღისეულის უკანონო მოპოვება, მისი წარმომავლობისათვის კანონიერი სახის მიცემა და მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებული წიაღისეულის რეალიზაციის შედეგად შემოსავლის მიღება. მათ შესაბამისი ნებართვის გარეშე, 2019 წლის 30 ნოემბრიდან 2020 წლის 12 თებერვლის ჩათვლით, გურჯაანისა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტებში უკანონოდ მოიპოვეს ათასობით კუბური მეტრი ინერტული მასალა, დაამზადეს 140 ერთეული ყალბი სასაქონლო ზედნადები და სხვადასხვა ფირმაზე მოახდინეს რეალიზება. შედეგად კი მიიღეს განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავალი.

აღნიშნულ პირებს, დანაშაულებრივ საქმიანობაში დახმარებას უწევდა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის კახეთის რეგიონალური სამმართველოს თანამშრომელი, რომელიც პირადი ინტერესით, უპირატესობას ანიჭებდა მათ და წინასწარ აფრთხილებდა მოსალოდნელი შემოწმების შესახებ. შედეგად მათი დანაშაულებრივი საქმიანობის გამოვლენა და საჯარიმო სანქციების გამოყენება არ ხდებოდა, რითაც სისტემატიურად ილახებოდა სახელმწიფოს კანონიერი ინტერესი.

გამოძიების მიერ დადგენილია მართლსაწინააღმდეგო ქმედებაში ჩართული ყველა პირი, რომელთა დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგადაც, სახელმწიფოს ასობით ათასი ლარის მატერიალური ზიანი მიადგა. ამოღებულია მათ მიერ გამოყენებული ძმიმე ტექნიკა.

გამოძიება სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების, დიდი ოდენობით თაღლითობის, ჯგუფურად უკანონო სამეწარმეო საქმიანობის, ჯგუფურად უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის და ჯგუფურად ყალბი საგადასახადო დოკუმენტის დამზადებისა და გამოყენების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის პირველი ნაწილი, 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 192-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი, 194-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი, 210-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი და), რაც სასჯელის სახით 6 -დან 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებას აწარმოებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო.

ბორის ჯონსონი: „ქვეყანა კორონავირუსის კრიზისის ტყვედ ვერ დარჩება“

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ბორის ჯონსონმა ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღების გეგმა წარადგინა და განაცხადა, რომ ქვეყანა კორონავირუსის კრიზისის ტყვედ ვერ დარჩება.

– ამ კრიზისის ტყვეებად ვერ დავრჩებით. თუ კოვიდ კრიზისმა რამე გვასწავლა, ეს არის ის, რომ ქვეყანა უნდა მოემზადოს იმისთვის, რაც, შესაძლოა, მომავალში გველოდებოდეს, – განაცხადა ბორის ჯონსონმა.

მისივე თქმით, ხელისუფლება კორონავირუსისგან დაზარალებული ეკონომიკის გაჯანსაღებას ინფრასტრუქტურული ინვესტიციის განხორციელებით გეგმავს.

ბორის ჯონსონის ინფორმაციით, საავადმყოფოების, სკოლების, გზებისა და სხვა პროექტებისთვის 5 მილიარდი ფუნტი სტერლინგის (6.15 მილიარდი აშშ დოლარის) მოცულობის ინვესტიცია გამოიყოფა, რაც სამუშაო ადგილების შექმნასა და „ინფრასტრუქტურულ რევოლუციას“ შეუწყობს ხელს.

– შენება, შენება, შენება. ჩვენთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, ყველას შეეძლოს, დაგეგმოს მომავალი მოკლე, საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში, – განაცხადა ბორის ჯონსონმა.

დიდ ბრიტანეთში კორონავირუსის 311.965 შემთხვევაა დადასტურებული. 43.575 ადამიანი გარდაიცვალა.

პოლონეთის საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში ანჟეი დუდამ გაიმარჯვა

მეორე ტური 12 ივლისს გაიმართება

ხმების ოფიციალური დათვლის შედეგების თანახმად, კვირას, პოლონეთში გამართული საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში მოქმედმა პრეზიდენტმა ანჟეი დუდამ გაიმარჯვა.

ქვეყნის ცენტრალური საარჩევნო კომისიის საბოლოო მონაცემებით, დუდამ არჩევნებში მონაწილეთა ხმების 43.5% მიიღო, მისმა მთავარმა კონკურენტმა, ვარშავის მერმა რაფალ ტრჟასკოვსკიმ კი 30.46%. დანარჩენი ათი საპრეზიდენტო კანდიდატიდან 10%-ზე მეტი არც ერთს მიუღია.

რამდენადაც პირველ ტურში ვერც ერთმა კანდიდატმა 50%-იან მხარდაჭერას ვერ მიაღწია, პირველ-მეორე ადგილზე გასული კანდიდატები საბოლოო გამარჯვების მოსაპოვებლად ერთმანეთს 12 ივლისს, მეორე ტურში დაუპირისპირდებიან.

კვირას, პირველ ტურში მოქალაქეთა აქტივობამ 64.5% შეადგინა, რაც ქვეყნისთვის საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია.

48 წლის მოქმედმა პრეზიდენტმა „კანონი და სამართლის პარტიიდან“ ამომრჩევლებს პარტიის ეკონომიკური პროგრამის შესრულების პირობა მისცა, ასევე აქცენტი ტრადიციული ოჯახის დაცვაზე გააკეთა.

ანჟეი დუდა პოლონეთის პრეზიდენტად პირველი ვადით 2015 წელს აირჩიეს.

თურქეთმა ქვეყნის ისტორიაში ყველაზე დიდი ანტინარკოტიკული ოპერაცია ჩაატარა

თურქეთმა ქვეყნის ისტორიაში ყველაზე დიდი ანტინარკოტიკული ოპერაცია ჩაატარა, რომლის დროსაც 67 ეჭვმიტანილი დააკავეს.

ამის შესახებ ინფორმაციას თურქული მედია ქვეყნის შინაგან საქმეთა მინისტრ სულეიმან სოილუზე დაყრდნობით ავრცელებს.

ოპერაცია „ჭაობი“ 9 ქვეყანასთან თანამშრომლობის შედეგად განხორციელდა და მის ფარგლებში 70 მილიონი თურქული ლირა (დაახლოებით 10.21 მილიონი აშშ დოლარი) ამოიღეს.

– დაჯგუფების ერთ-ერთი ხელმძღვანელი წითელი ცირკულარით იძებნება და ბრაზილიასა და ნიდერლანდებში 26 წლით თავისუფლების აღკვეთა აქვს მისჯილი, – განაცხადა სულეიმან სოილუმ.

ვენესუელიდან ევროკავშირის ელჩი გააძევეს

ვენესუელამ ევროკავშირის ელჩი იზაბელა პედროსი პერსონა ნონ-გრატად გამოაცხადა.

მას ქვეყნის დასატოვებლად 72 საათი მისცეს.

ვენესუელის დიქტატორმა მადურომ განაცხადა, რომ ევროკავშირი, კერძოდ, ელჩი პედროსი ვენესუელის შინაურ საქმეებში ერეოდა.

– ამას არავისაგან არ მოვითმენთ, – თქვა მადურომ.

ევროკავშირმა ვენესუელის პრეზიდენტის ფალსიფიცირებული არჩევნები არ ცნო და პრეზიდენტად ოპოზიციის ლიდერი გუაიდო აღიარა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

მამაკაცმა ძვირადღირებული სპორტკარი ყიდვიდან ნახევარ საათში დაამტვრია

ინგლისელმა სპორტული ავტომობილი Lamborghini Huracan Spyder-ი, რომლის ფასი 186.450 ევროა, შეიძინა და ავტოსალონიდან კმაყოფილი წავიდა, თუმცა შენაძენით ტკბობა დიდხანს არ დასცალდა. ყიდვიდან ნახევარ საათში მამაკაცი ავტოავარიაში მოყვა და ძვირადღირებული ავტომობილი დაამტვრია.

ამ შემთხვევის ამსახველ ვიდეოზე ჩანს, თუ როგორ თანაუგრძნობენ სპორტკარის მფლობელს მისი დამტვრევის გამო გამვლელი მანქანების მძღოლები.

– ეს რა არის? ლამბორჯინი?! საშინელებაა, – კითხულობს ავტოავარიის ერთ-ერთი თვითმხილველი.

ავტოავარია ქალაქ უიკფილდის მახლობლად იორკშირისკენ მიმავალ გზაზე მოხდა. მიზეზი კი სუპერკარის მექანიკური გაუმართაობა გახდა. დიდი სისწრაფით მოძრაობის დროს მანქანა მოულოდნელად გაითიშა, მძღოლი იძულებული გახდა, მკვეთრად დაემუხრუჭებინა, რა დროსაც მას უკნიდან სატვირთო მანქანა დაეჯახა. ავარიის შედეგად სატვირთოს მძღოლმა მსუბუქი დაზიანებები მიიღო, ხოლო სპორტკარის მძღოლი არ დაშავებულა. მანქანის აღდგენა კი შეუძლებელი იქნება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მამაკაცმა შემთხვევით ტესლას 27 ელექტრომობილი შეიძინა

გერმანიის მკვიდრმა მამაკაცმა ერთბაშად 27 ელექტრომობილი Tesla Model 3-ი შეიძინა და 1,4 მილიონი ევროს ანგარიში მიიღო. ამის თაობაზე ინფორმაცია მისმა შვილმა ერთ-ერთ სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა.

ავტორმა დაწერა, რომ მამამისს სურდა მათი ოჯახის დაძველებული ავტომობილი ფორდ კუგა შეეცვალა და გადაწყვიტა, მის ნაცვლად ელექტრომობილი Tesla Model 3-ი ავტომწარმოებლის გვერდზე შეეძინა.

მან თავის ონლაინ-შეკვეთას ავტოპილოტის ოპცია დაამატა და დააჭირა ღილაკს „დადასტურება“, მაგრამ ამას არაფერი მოყოლია. მყიდველმა იგივე ღილაკს ისევ დააჭირა, თუმცა ვებგვერდმა არც ამჯერად დაუდასტურა შეკვეთის შეძენა. გერმანელი ორი საათის განმავლობაში აგრძელებდა ელექტრომობილის შეკვეთას, სანამ ვებგვერდზე არ გაიხსნა გვერდი, რომელიც მადლობას უხდიდა შენაძენისთვის და ატყობინებდა, რომ მის მიერ შეკვეთილ 27-ვე ელექტრომობილს მოკლე დროში მიუტანდნენ. შეკვეთის საერთო ღირებულებამ 1,4 მილიონი ევრო შეადგინა. ამ შეტყობინებამ მამაკაცი პანიკაში ჩააგდო.

ჩვეულებრივ, ტესლა იმ შემთხვევაში, როდესაც საქონელზე შეკვეთა უქმდება, კლიენტს 100 ევროს ახდევინებს. ასეთ შემთხვევაში კი მამაკაცს შეცდომით გაკეთებული შეკვეთისთვის 2,7 ათასი ევროს გადახდა მოუწევდა. მაგრამ კომპანია გაგებით მოეკიდა ამ შემთხვევას. მან უსასყიდლოდ გააუქმა აღნიშნული შეკვეთა და მამაკაცს ახალი შეკვეთის გაკეთება შესთავაზა.

გარდაცვლილი მამის საჩუქარმა მამაკაცს მილიონობით დოლარი მოუტანა

ამერიკის მიჩიგანის შტატის მცხოვრებმა მეორედ მოხსნა ლატარიაში ოთხი მილიონი დოლარის ოდენობის ჯეკპოტი.

50 წლის მარკ კლარკმა განაცხადა, რომ მომენტალური ლატარიის მომგებიანი ბილეთი ქალაქ კარლტონის პატარა მაღაზიაში შეიძინა. მან იქვე გადაფხიკა დამცავი შრე, ამისთვის კი გარდაცვლილი მამის მიერ ნაჩუქარი განსაკუთრებული მონეტა გამოიყენა.

– მამა დაახლოებით ერთი წლის წინ გარდაიცვალა. მას ჯანმრთელობის პრობლემები ჰქონდა. თავიდან არ ამომდის ის აზრი, რომ მისმა ბედნიერმა მონეტამ მომიტანა ეს სიმდიდრე, – განაცხადა ლატარიის გამარჯვებულმა.

კლარკის თქმით, მას დღემდე ვერ დაუჯერებია, რომ ასეთი მსხვილი თანხა მეორედ მოიგო. მანამდე მან 2017 წელს სხვა ლატარიაში მოხსნა მსხვილი ჯეკპოტი.

ამერიკელი მოგებუული ფულით ოჯახთან ერთად დასვენებას გეგმავს.

– პირველი მოგების შემდეგ პენსიაზე გავედი და ბევრ დროს ვუთმობ თევზაობას. ყოველთვის მამასთან ერთად ვთევზაობდი და მასზე ბევრი კეთილი მოსაგონარი დამრჩა. ამ ფულის წყალობით კი მშვიდად გავაგრძელებ თევზაობას და ჩემი ოჯახის წევრებთან ერთად სიამოვნებას მივიღებ დასვენებისგან, – დაასკვნა კლარკმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

საზოგადოება

სოხუმის თეატრის მსახიობი სერგო პაჭკორია გარდაიცვალა



სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობი სერგო პაჭკორია გარდაიცვალა.

საქართველოს სახალხო არტისტი, ღირსების ორდენის კავალერი, საქართველოსა და აფხაზეთის დამსახურებული არტისტი, სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობი ამ თეატრის ისტორიას და მის შემოქმედებით ცხოვრებას, თავის კოლეგებთან ერთად თითქმის 60 წელი ქმნიდა.

სამწუხარო ინფორმაცია სოხუმის თეატრმა გაავრცელა:

– მან დიდი ოსტატობით აღბეჭდილი სახეები შექმნა ისეთ გახმაურებულ სპექტაკლებში, როგორებიცაა „ვენეციელი ვაჭარი“, კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“, „1832 წელი“, „ბრძოლა ტახტისათვის“, „ერთი ცის ქვეშ“, „ბათა ქექია“...

მის მიერ შესრულებულ თითქმის 150 როლში აისახა მსახიობის თანამედროვე ეპოქა თავისი ჭირ-ვარამითა და ქარტეხილებით. მან, როგორც სოხუმის თეატრის მთელმა დასმა, საკუთარ თავზე იწვნია აფხაზეთის თავზე დატეხილი უბედურება და დევნილის უმძიმესი ხვედრი გაიზიარა.

სერგო პაჭკორია არა მარტო გამორჩეული მსახიობი, არამედ გამორჩეული პიროვნება იყო, მისი თითოეული პერსონაჟიც გამოკვეთილი პიროვნული თვისებებით ამახსოვრებდა მაყურებელს თავს.

„მადლობა ჩემს მაყურებელს გულწრფელი ტაშისთვის, რომელიც ხშირად სიხარულის ცრემლებს მგვრიდა“ – თქვა ერთ-ერთ საიუბილეო საღამოზე სერგო პაჭკორიამ, რომლისთვისაც მაყურებელს ანალოგიური სათქმელი ჰქონდა: „მადლობა თქვენ მიერ განსახიერებული გულწრფელი როლებისათვის, რომელიც ხშირად ცრემლებს გვგვრიდა“. სწორედ ამგვარი დამოკიდებულება ქმნიდა საოცარ კავშირს მსახიობსა და მაყურებელს შორის, რის გამოც ორივე ბედნიერი იყო და ეს დღეები და წლები ყოველთვის ემახსოვრება სოხუმელ მაყურებელს.

თეატრმცოდნე ნათელა არველაძე წერდა: „სერგო პაჭკორიას ნიღბები ისეთივე მრავალფეროვანია, როგორც ბუნება, ისეთივე მრავალგვარია, როგორც ცხოვრება, ისეთივე მბორგავი, სევდიანი, დამაფიქრებელია, როგორც ადამიანი“.

სერგო პაჭკორიას 2 ივლისს მახათას საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალავენ.

გუგა მარგველაშვილმა ახალი სიმღერა ჩაწერა

„მხოლოდ ქართულის“ ფინალისტმა გუგა მარგველაშვილმა ახალი სიმღერა ჩაწერა და მსმენელს წარუდგინა.

„გაზაფხული“ – ასე ჰქვია გუგას ახალ და საოცრად პოზიტიურ სიმღერას. ტექსტის და მუსიკის ავტორი მარი ჭელიძეა, კლიპის რეჟისორი კი, მარიკა ქაცარავა.

გუგამ თავისი ახალი ნამუშევარი ინტერნეტში განათავსა და ათასობით მსმენელისგან დიდი მოწონებაც დაიმსახურა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

მალამო „მენტორი პირველი“

ტრადიციული საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული საუკეთესო ეფექტური სამკურნალო საშუალება – მალამო „მენტორი პირველი“ გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, სახსრებში მარილების დაგროვება, პოდაგრა, ნიკრისის ქარი, რავმატიზმი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება, ასევე კოღოს ნაკბენის დროს.

გამოყენების წესი: მალამო უნდა შეიზილოთ დღეში ორჯერ მტკივნეულ ადგილებში, წელზე და მუხლებზე.

მალამო მენტორი ხუთი

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ტრადიციული ბუნებრივი სამკურნალო მცენარეებისაგან დამზადებული სამკურნალო საშუალება მალამო მენტორი ხუთი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: ქუსლების გარქოვანება-ნახეთქების, ბუასილის კვანძების, ფსორიაზის. უფრო ეფექტურია, რომ მალამო შევიზილოთ დილას მტკივნეულ ადგილებში – წელიდან მუხლებამდე, კოჭებამდე. იგი ხსნის დაჭიმულობას, სიმსივნეს, სიმძიმეს, წვას. მკურნალობისას ქრება ტკივილები. ტანზე შეზელილი მალამო უნდა გავიჩეროთ 25-30 წუთის განმავლობაში. მალამო უნდა შევიზილოთ დღეში 2-ჯერ. ტანი უნდა გავიწმინდოთ ქაღალდის სალფეთქით.

☎ 599-73-48-21; 598-73-48-21.

რეალმა ჰაკიმი გაუშვა და ჭალანჭი მიჰყავს

ესპანური მედიის ინფორმაციით, მადრიდის რეალის ფეხბურთელის, ჰაკიმის ტრანსფერთან დაკავშირებით შეთანხმება მიღწეულია და მაროკოელი უკვე ინტერს ეკუთვნის.

იტალიური კლუბი სანაცვლოდ ჯამში 50 მილიონ ევროს გადაიხდის, მაგრამ ფლორენტინო პერესის გუნდი თანხას ნაწილობრივ მიიღებს. პირველ ეტაპზე სამეფო კლუბის ბიუჯეტში 40 მილიონი ევრო ჩაირიცხება, ხოლო დანარჩენ 10 მილიონს მომდინარე წლის ბოლომდე მიიღებენ.

ამასთანავე, შეთანხმებაზე ჩაიჯდება პუნქტი, რომლის მიხედვითაც, მომდევნო სეზონში ინტერის მიერ სკუდეტოს მოგების შემთხვევაში, რეალი დამატებით 3.5 მილიონ ევროს მიიღებს.

ასევე, ესპანური გამოცემების ინფორმაციით, რეალი ახალ მეკარეს შეიძენს – გადაწყვეტილება მიღებულია და შეთანხმების დეტალებიც ცნობილია. საქმე ეხება მარიო დე ლუისს, რომელიც ამ ეტაპზე რაიო ვალეკანოს ახალგაზრდული გუნდის ღირსებას



იცავს.

ლუისი 17 წლის გახლავთ და უკვე 185 სანტიმეტრია. ახალბედა მეკარეს ესპანური ფეხბურთის მარგალიტსა და ეროვნული ნაკრების მომავალს უწოდებენ.

გავრცელებული ინფორმაციით, „ბლანკოსი“ მარიოს ტრანსფერს სულ მალე სრულყოფს და 4-წლიან კონტრაქტს გააფორმებს. თუმცა, თავდაპირველად ლუისი ხუვენილ ა-ს ღირსებას დაიცავს.

ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

29 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ
ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ. ᲞᲘᲛᲘᲔᲠᲚᲘᲒᲐ

კრ.პალასი-ბარნლი	0:1

ᲡᲐᲢᲣᲧᲜᲘᲠᲝ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ:

1.ლივერპული	31	28	2	1	70-21	86
2.სიტი	31	20	3	8	77-33	63
3.ლესტერი	31	16	7	8	59-29	55
4.ჩელსი	31	16	6	9	55-41	54
5.ვულვზი	32	13	13	6	45-34	52
6.მანჩესტერი	31	13	10	8	48-31	49
7.ტოტენჰემი	31	12	9	10	50-41	45
8.ბარნლი	32	13	6	13	36-45	45
9.შეფილდი	31	11	11	9	30-31	44
10.არსენალი	31	10	13	8	43-41	43
11.კრ.პალასი	32	11	9	12	28-37	42
12.ევერტონი	31	11	8	12	38-46	41
13.საუთჰემპტონი	32	12	4	16	41-55	40
14.ნიუკასლი	31	10	9	12	29-42	39
15.ბრაიტონი	31	7	12	12	34-41	33
16.უოტფორდი	32	6	10	16	29-49	28
17.ვესტ ჰემი	31	7	6	18	35-54	27
18.ბორნმუთი	31	7	6	18	29-50	27
19.ასტონ ვილა	32	7	6	19	36-60	27
20.ნორვიჩი	31	5	6	20	25-56	21

ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲘ. ᲞᲘᲛᲘᲔᲠᲘᲐ ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ

ხეტაფე-სოსიედადი	2:1

ᲡᲐᲢᲣᲧᲜᲘᲠᲝ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ:

1.რეალი	32	21	8	3	60-21	71
2.ბარსელონა	32	21	6	5	72-33	69
3.ატლეტიკო	32	15	13	4	41-23	58
4.სევილია	32	14	12	6	45-33	54
5.ხეტაფე	32	14	10	8	42-30	52
6.ვილიარეალი	32	15	6	11	51-40	51
7.სოსიედადი	32	14	5	13	48-41	47
8.ვალენსია	32	12	10	10	41-46	46
9.ბილბაო	32	11	12	9	36-28	45
10.გრანადა	32	12	7	13	38-38	43
11.ლევანტე	32	12	5	15	41-46	41
12.ოსასუნა	32	10	11	11	38-47	41
13.ბეტისი	32	9	10	13	43-52	37
14.ალავესი	32	9	8	15	32-48	35
15.ვალიადოლიდი	32	7	14	11	27-37	35
16.ეიბარი	32	9	8	15	34-48	35
17.სელტა	32	7	13	12	31-37	34
18.მალიორკა	32	7	5	20	30-55	26
19.ლეგანესი	32	5	10	17	24-46	25
20.ესპანიოლი	32	5	9	18	26-51	24

ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲘ. ᲡᲔᲒᲣᲜᲓᲐ ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ

ალკორკონი-რაიო	3:2
სარაგოსა-უესკა	0:1

ᲘᲢᲐᲚᲘᲐ. ᲡᲔᲠᲘᲐ Ბ

სალერნიტანა-კრემონეზე	3:3
ასკოლი-კროტონე	1:1
ბენევენტო-იუვენტუსი	1:0
კოზენცა-ტრაპანი	2:2
კიევო-ფროზინონე	2:0
ლივორნო-ვენეცია	0:2
პესკარა-ემპოლი	1:1
პორდენონე-ვირტუსი	2:0
სპეცია-პიზა	1:2
ჩიტადელა-პერუჯა	2:0

ᲞᲝᲠᲢᲣ�გᲐᲚᲘᲐ. ᲞᲘᲛᲘᲔᲠᲘᲐ ᲚᲘ�გᲐ

ავეში-მორეირენშე	0:1
მარიტიმუ-ბენფიკა	2:0
ფერეირა-პორტუ	0:1

ᲡᲐᲑᲭᲝᲓᲜᲔᲗᲘ. ᲡᲣᲞᲔᲠᲚᲘ�გᲐ

ატრომიტოსი-ლარისა	3:0
ვოლოსი-ლამია	0:0

ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘ. ᲡᲣᲞᲔᲠᲚᲘ�გᲐ

გენჩლერი-ქაშიმფაშა	0:2

ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘ. ᲔᲥᲡᲢᲠᲐᲯᲚᲐᲡᲐ

კრაკოვია-პოგონი	2:1

ᲓᲐᲜᲘᲐ. ᲡᲣᲞᲔᲠᲚᲘ�გᲐ

ოდენსე-ლუნგბიუ	3:1

ᲨᲕᲔᲓᲔᲗᲘ. ᲐᲘᲡᲕᲔᲜᲡᲯᲐ

ვარბერგი-ფალკენბერგი	3:1
ჰაკენი-ჰელსინბორგი	1:0

ᲘᲣᲕᲔᲛ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘ ᲓᲐᲐᲬᲧᲝ

ტურინის იუვენტუსმა და ბარსელონამ პირველი საზაფხულო გარიგება დახურეს. იტალიურმა კლუბმა ბარსელონადან ბრაზილიის ეროვნული ნაკრების წევრი არტურ მელო დაიმატა, რომლის სანაცვლოდაც გუნდი 75 მილიონს გაიღებს. თუმცა, ეს პირობითად, რადგან საპირისპირო მიმართულებით მირალემ პიანიჩი გაემგზავრება, რომელიც ბარსას 60 მილიონი დაუჯდება.

აქედან გამომდინარე, 15 მილიონს იუვე შემდეგნაირად დაფარავს: 10 მილიონი პირდაპირი ინვესტიცია, ხოლო 5 მილიონი ბონუსის სახით.

არტური უკვე ტურინშია და სამედიცინო შემოწმებას გადის, რის შემდეგაც კლუბთან კონტრაქტს ხელს მოაწერს და სეზონში ჯიბეს 5 მილიონით გაისქელებს.

ახლა სხვა საკითხი, რაც საკმაოდ მნიშვნელოვანია გუნდის სამომავლო გარიგებების თვალსაზრისით: ორიოდე დღის წინ ტურინში, ბიანკონერის სათავო ოფისში ხელმძღვანელობას შორის მნიშვნელოვანი საქმიანი შეხვედრა გაიმართა.

აღნიშნულ შეხვედრაზე ფაბიო პარატიჩის მკაფიო დავალება მიეცა, რომელიც ტურინელთა სპორტულმა დირექტორმა მოახლოებულ 2-3 ფანჯრის პერიოდში სისრულეში უნდა მოიყვანოს. კლუბის მაღალჩინოსნების გადაწყვეტილებით, ფაბიოს სახელფასო ბიუჯეტის და პარალელურად გუნდის საშუალო ასაკის შემცირება მოუწევს.

შესაბამისად, დაახლოებით, 1-1.5 წელიწადში, ჩვენ წინაშე სრულებით სხვაგვარი იუვენტუსი უნდა წარდგეს.

აქ საკითხი უფრო შემდეგნაირად დგას, რა გადაწყვეტილებამდე მივა კლუბის ხელმძღვანელობა. აქცენტი გაკეთდება ნიჭიერ იტალიელებზე, თუ კლუბი გააგრძელებს ლეგიონერების დამატებას?

არაერთხელ დაიწერა, რომ რიკარდო ორსოლინი, როლანდო მანდრაგორა და ლუკა პელეგრი კლუბში დაბრუნდებიან, თუმცა... ორსოლინის ჯერ კიდევ ბევრი რამის სწავლა მართებს, ხოლო იგივე მანდრაგორამ კვლავინდებურად მძიმე ტრავმა მიიღო და მისი დაბრუნება ერთი წელით გადაიდო.

კითხვებია სხვა სამიზნეებზეც: ძანიოლო, კიეზა, ტონალი... მათი კლუბები ან საკმაოდ ძვირს ითხოვენ, ან საერთოდაც თავად ფეხბურთელები ტურინში გადასვლაზე თავს დიდად არ იკლავენ.

იყო საუბარი გუნდიდან მატეის დე ლიხტისა და ფედერიკო ბერნანდესკის წასვლაზე. თუმცა, თუ გუნდი გაახალგაზრდავებისკენ მიდის, მაშინ მათი წასვლა ტურინიდან, თითქმის გამორიცხულია.

პარატიჩი ჟურნალისტებს შეხვდა და სწორედ მათ სატრანსფერო საკითხებზე ესაუბრა:

– დე ლიხტის თაობაზე ბევრი ჭორი წავიკითხე. აზრიც არა აქვს ამ თემაზე რაიმე კომენტარის გაკეთებას, რადგან ნიდერლანდელი ჩვენი ფეხბურთელი და იუვენტუსის მომავალია! ბერნანდესკი მუხლჩაუხრელად შრომობს. მას აქვს ბრწყინვალე ტექნიკური და ფიზიკური მახასიათებლები. დარწმუნებული ვარ, მომავალში ფედერიკო არა მარტო იუვენტუსისთვის, არამედ ნაკრებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წევრი იქნება!

ასე რომ, იუვენტუსს წინ საკმაოდ საინტერესო პერიოდი ელის...

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

შიშველმა ქალმა მანქანაზე იცეკვა და პოლიციელს უკბინა

ამერიკის ტენესის შტატში შიშველმა სამართალდამრღვევმა ქალმა მანქანაზე ცეკვა გააჩაღა და შემდეგ პოლიციელს უკბინა.

მიშელ ტომასი სხვის ავტომობილზე აძვრა, სრულიად გაშიშვლდა და ცეკვა დაიწყო. ქალი ხელისუფლების წარმომადგენელთა ბრძანებებზე, შეეწყვიტა ცეკვა და მანქანიდან ჩამოსულიყო, არ რეაგირებდა. შედეგად ის პატრულის თანამშრომლებმა დააკავეს, ხელბორკილები დაადეს და პოლიციის მანქანის უკანა სავარძელზე მოათავსეს. სამართალდამრღვევმა მანქანის მინა ჩაამსხვრია და გამოძრომა ცადა.

ერთ-ერთმა სამართალდამცავმა ქალს მხარზე ხელი დაადო, რათა უკანვე დაებრუნებინა. ამ დროს დაკავებულმა მას მარჯვენა წინამხარზე უკბინა. პოლიციელს ნაკბენიდან სისხლისდენა დაეწყო, დაუწითლდა და დაუსივდა. სამართალდამცავები იძულებულები გახდნენ, ქალი ქამრებით გაეკოჭათ.

ტომასი დააპატიმრეს და პატრულზე თავდასხმის, ხულიგნობისა და დაკავების დროს წინააღმდეგობის გაწევის ბრალდება წაუყენეს. ქალს პატიმრობიდან გასათავისუფლებლად ხუთი ათასი გირაო დაეკისრა. მომხდარზე გამოძიება მიმდინარეობს.

ᲜᲐᲮᲔᲕᲠᲐᲓ ᲨᲘᲨᲕᲔᲚᲛᲐ ᲛᲡᲐᲮᲘᲝᲑᲛᲐ ᲡᲐᲛᲘ ᲥᲐᲚᲘ ᲓᲐᲮᲠᲩᲝᲑᲐᲡ ᲒᲐᲓᲐᲐᲠᲩᲘᲜᲐ

ინგლისის ქალაქ პენზანსში ადგილობრივი თეატრის მსახიობმა ქალმა პლაჟზე დასვენების დროს სამი ქალი ზღვაში დახრჩობას გადაარჩინა.

ინციდენტი იმ დროს მოხდა, როდესაც 28 წლის ჯესიკა ლეიტონი წელს ზევით შიშველი ირუჯებოდა ადგილობრივ პლაჟზე. გოგონამ გადაწყვიტა, ზღვის მოქცევის წინ ბოლოჯერ ებანავა. უკვე წყალში მყოფმა კლდის ახლოს ორი ახალგაზრდა ქალი შენიშნა, რომლებიც წყლიდან გამოსვლას ცდილობდნენ. მათ მისახმარებლად წყალში მესამე ქალიც შევიდა, მაგრამ უკვე მასაც დახრჩობა ემუქრებოდა.

ჯესიკა მათთან მიცურდა და შეეცადა მათთვის აეხსნა, თუ როგორ უნდა გაეცურათ ჩქარ დინებაში აღმოჩენილებს. მაგრამ ქალები ისე იყვნენ შეშინებულები, რომ ეს შედეგს ვერ გამოიღებდა. სამივეს ერთმანეთისთვის ხელი ჰქონდათ ჩაჭიდებული. მაშინ ჯესიკამ ერთ-ერთს ხელი ჩაავლო, გაცურა და დანარჩენებიც თან გაიყოლა.

გაირკვა, რომ ორი ქალი დები, ხოლო ერთი მათი ბიძაშვილი იყო. მათმა ოჯახმა ჯესიკას დიდი მადლობა გადაუხადა მათი გადარჩენისთვის, ხოლო მსახიობის მეგობრებმა ეს ისტორია სოციალურ ქსელებში გააზიარეს და სახელი გაუთქვეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა, რაშიც ლამარა თოდუას ნაყენები დაგეხმარებათ. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი.

ᲕᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲝᲗᲐᲠ ᲭᲘᲚᲐᲫᲘᲡ Ქ. №166. ᲛᲔ-10 ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲘ.
ᲢᲔᲚ.: 599-16-10-82, 593-99-62-52.

ᲡᲐᲛᲒᲚᲝᲕᲘᲐᲠᲝ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲐᲚᲝᲪᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ
ᲢᲔᲚ.: 599-532-690 – 12-ᲓᲐᲜ 17 ᲡᲐᲐᲗᲐᲛᲓᲔ

ᲯᲭᲝᲡᲕᲝᲭᲘᲦᲘ Ბ



შვეულად: 1. სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეული ძველად საქართველოში; 2. პორტატული უპილოტო საფრენი აპარატი; 3. რაიმეს გაგების, შესწავლის სურვილი; 4. ისტორიული სამთავრო აღმოსავლეთ საქართველოში; 5. ფირდოუსის ეპიკური პოემა; 6. კინოკრიტიკოსთა საერთაშორისო ფედერაციის კინოპრემია; 11. ნიგერიის დედაქალაქი; 13. ქალაქის ელექტროტრანსპორტი; 14. საელჩოების, საკონსულოების თარჯიმნის სახელწოდება აღმოსავლეთის ქვეყნებში; 15. პრეზიდენტის რეზიდენცია რომში; 17. ფრანგი მოქანდაკე; 18. მტკვრის მარცხენა შენაკადი საქართველოში; 19. მკბენარა მწერი.

თარაზულად: 7. გერმანული ფარმაცევტული ფირმა; 8. ჯარის სურსათით, ტანსაცმლითა და სხვა საყოფაცხოვრებო ნივთებით მომმარაგებელი ოფიცერი; 9. მექანიკური მუსიკალური საკრავი; 10. იუმორისტული საგაზეთო პუბლიკაცია; 12. დიდი ზომის სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 14. ინგლისელი პირატი, შემდგომ ადმირალი; 16. კლარჯეთის მთავარი ქალაქი; 18. ისტორიული ციხე-სიმაგრე აფხაზეთში; 20. მოკლენიჩბიანი სპორტული ნავი; 21. სოფელი წალენჯიხის რაიონში; 22. გამომწვარი ფერადი თიხა კერამიკული ნაკეთობების დასამზადებლად; 23. ნარნარად ფრენა; 24. იტალიელი მხატვარი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ:

ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ Ა

შვეულად: 1. ქულბაქი; 2. ბაიადერა; 3. ქინქლა; 4. დიეტა; 5. ციხეგოჯი; 8. კაპილარი; 12. ბორი; 13. საგურამო; 14. ანდაზა; 16. ბულიმია; 18. ჯეზვე; 20. როქი.

თარაზულად: 6. ფუკუსიმა; 7. გრინვიჩი; 8. კაიაკი; 9. დანია; 10. ცერცვაძე; 11. მონბლანი; 15. მასტროიანი; 17. პიარნუ; 19. ზვარტნოცი; 21. დარბაზი; 22. კონსტებლი; 23. დიორამა.

ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ Ბ

შვეულად: 1. მაჰატმა; 2. სქემა; 3. სათაფლია; 4. წიქარა; 5. სტატორი; 6. ციპრასი; 11. არალი; 13. ინტრიგა; 14. ორიფლეიმი; 15. სტრატეგია; 17. ომლეტი; 18. კატარი; 19. მაქო.

თარაზულად: 7. დალაქი; 8. პალიასტომი; 9. ჰამამი; 10. კაშალოტი; 12. ტაქიკარდია; 14. ონიქსი; 16. ბრისტოლი; 18. კლინკერი; 20. მტილი; 21. ეტა; 22. ხერგიანი; 23. არგო; 24. როზარიუმი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

1 ივლისი

აშშ დოლარი — 3.0552

ევრო — 3.4466

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.7671

100 რუსული რუბლი — 4.3705

ამინდის პროგნოზი 1 ივლისისთვის

როი კინი შესაძლოა აზერბაიჯანის ნაკრების მწვრთნელი გახდეს

მანჩესტერ იუნაიტედის ლეგენდა როი კინი, რომელიც ამჟამად ტელევიზიაში ექსპერტად მუშაობს, შესაძლოა მწვრთნელობას დაუბრუნდეს. მისი სამსახურით აზერბაიჯანი დაინტერესდა, რომელიც თავისი ნაკრებისთვის ახალ მწვრთნელს ეძებს.

აზერბაიჯანელები სერიოზულად არიან დაინტერესებულნი კინის სამსახურით. ჯერჯერობით თვითონ როი კინს ამ საკითხის შესახებ განცხადება არ გაუკეთებია.

კალიდუ კულიბალი მანჩესტერ სიტიში გადადის

ნაპოლის ცენტრალური მცველი კალიდუ კულიბალი დიდი ალბათობით კარიერას მანჩესტერ სიტიში გააგრძელებს. ამის შესახებ ინფორმაცია ინგლისურ მედიაში ვრცელდება. მანჩესტერ სიტი ამ ტრანსფერში 92 მილიონს გადაიხდის, თუმცა ნაპოლი 100 მილიონზე მეტს ითხოვდა.

კულიბალი უკვე რამდენიმე წელია იტალიაში საუკეთესო ცენტრალურ მცველად სახელდება და მისი შეძენა ბევრ გრანდს სურდა, მათ შორის ტურინის იუვენტუსსაც.

იურგენ კლოპი: „ბევრი ტრანსფერი არ გვჭირდება“

ლივერპულის მთავარმა მწვრთნელმა იურგენ კლოპმა განაცხადა, რომ მის გუნდს ბევრი ტრანსფერი არ სჭირდება იმისთვის, რომ მომავალშიც შეინარჩუნოს სტაბილურობა.

კლოპის აზრით, ლივერპულს საკმარისად ძლიერი შემადგენლობა ჰყავს:

– ლივერპულს ბევრი ახალი ფეხბურთელი არ სჭირდება, რადგან ჩვენ ვიცით, თუ ვის იმედზე უნდა ვიყოთ. შესაძლოა, მხოლოდ რამდენიმე ტრანსფერი განვახორციელოთ.

მოამზადა ბექა ვოგინაშვილმა

ასტროპროგნოზი

1 ივლისისთვის

ვერძი – სავარაუდოდ, გეგმები შეგეცვლებათ. შესაძლოა, ახალი მოვალეობებიც დაგეკისროთ. **კურო** – დიდი ხნის ოცნება აგისრულდებათ, თუმცა დაბრკოლებებს თავს მაინც ვერ დააღწევთ. ნერვებს გაუფრთხილდით. **ტყუპები** – სასიცოცხლო პოტენციალი მკვეთრად ქვეითდება. სირთულეები შეგექმნებათ ხელმძღვანელობასთან და მეგობრებთან ურთიერთობაში. **კირჩხიბი** – ყურადღების ცენტრში სამსახურებრივი პრობლემები ექცევა. დღის მეორე ნახევარი სახლში გაატარეთ. **ლომი** – გუნება-განწყობას არასასიამოვნო ინფორმაცია გაგიფუჭებთ. თავს დასვენებისა და მოდუნების უფლება მიეცით. **ქალწული** – შრომისუნარიანობა ქვეითდება. ეცადეთ, ადრე დაწყებული საქმეები მაინც დაამთავროთ. **სასწორი** – კეთილისმყოფელი დღეა. საყიდლებზე წასვლა გაგახალისებთ. ნავაჭრით კმაყოფილი დარჩებით. **ღრიანკალი** – მოაწესრიგეთ დოკუმენტები. დამშვიდდით და მოდუნდით. მთლიანობაში, პასიური დღეა. **მშვილდოსანი** – ერიდეთ ინტიმურ ურთიერთობებს. დათრგუნეთ სიამაყე. **თხის რქა** – სანამ მოქმედებას დაიწყებთ, სიტუაცია საგულდაგულოდ გააანალიზეთ. ინდივიდუალური მუშაობა რეკომენდებული არ არის. **მერწყული** – პროფესიული მოვალეობის შესრულებისას ინტუიციას მიენდეთ. საქმიანი მოლაპარაკებები წარმატებით დაგვირგვინდება. **თევზები** – მიუხედავად გარეგნული სიმშვიდისა, შინაგანად დაძაბული და აფორიაქებული ხართ. უმჯობესია, თუ განმარტოვდებით და დაისვენებთ მყუდრო გარემოში.

გისუსვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

პაციენტი ექიმს ეუბნება:
– ექიმო, ხელები მიკანკალებს.
– სვამთ?
– სვამდი.
– ეწევით?
– ვეწეოდი.
– რა, თავი დაანებეთ?
– არა, მხოლოდ გადავწყვიტე.
– აი, ხედავთ, ორგანიზმი კი უკვე შეშინებულია.

●●●

აეროფლოტის თვითმფრინავში ბორტგამცილებელი მგზავრს ეკითხება:
– მიირთმევთ რამეს?
– რა არჩევანი მაქვს?
– ჰო ან არა!

●●●

საძინებლიდან ცოლის ხმა ისმის:
– სად ხარ, ჩემო პრინცო?
ქმარი ტუალეტიდან პასუხობს:
– აქ ვარ, ჩემო პრინცესა! თეთრ ცხენზე!

●●●

ძალიან ლამაზი ფიგურიანი ქალი პლაჟზე წევს. მოულოდნელად მასთან ხანშესული მამაკაცი მივიდა და ეუბნება:
– გოგონი, თქვენი მკერდით აღფრთოვანებული ვარ. შეიძლება მოგეფეროთ მკერდზე და ხუთ ლარს მოგცემთ.
– რას როშავ, ბებერო, გამეცალე აქედან!
– არ გაბრაზდე. ათ ლარს მოგცემ.
– თავი დამანებე, ბებერო გარყვნილო!
– კარგი, ორმოცდაათი ლარი იყოს.
– გითხარი, დამეკარგე აქედან!
– ასი ლარი?
– რად მინდა შენი ასი ლარი.
– ორასი?
– ორასი? კარგი, მხოლოდ სწრაფად.
კაცმა მკერდზე ხელის სმა დაუწყო და თან ბურტყუნებს: „ღმერთო ჩემო“, „ღმერთო ჩემო“, „ღმერთო ჩემო“...
– რა „ღმერთო ჩემო“ აგიტყდა ბებერო?
– ღმერთო ჩემო, სად ვიშოვო ორასი ლარი?

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ნანა ბუთხუზი: „ბიძინა ივანიშვილის დახმარებას არ ვიღებ“

მუსიკისა და დრამის თეატრის მსახიობი ნანა ბუთხუზი საჯაროდ აცხადებს, რომ ბიძინა ივანიშვილის დახმარებას არ იღებს:

– უკაცრავად, მაგრამ ყველა თეატრის ყველა მსახიობს დახმარებას აძლევდა ბიძინა ივანიშვილიო, ასე გამოაცხადეს ტელევიზიით და მინდა განვაცხადო, რომ მე – ნანა ბუთხუზი, მუსიკისა და დრამის თეატრის მსახიობი, ბიძინა ივანიშვილის დახმარებას არ ვიღებ მას შემდეგ, რაც მან ოფიციალურად განაცხადა, რომ პოლიტიკაში მოდის. მანამდე კი, სანამ „ქველმოქმედი“ იყო, მხოლოდ 1 წელი მერიცხებოდა „ქველმოქმედის“ დახმარება.

ეს დახმარება არ იყო კონკრეტულად ჩემთვის, ეს იყო თეატრის დახმარება, რომელსაც შემდგომ თეატრის ხელმძღვანელი ანაწილებდა მსახიობებზე და მადლობა, თეატრის ხელმძღვანელს ამისათვის. ტყუილია, რომ ყველა თეატრის ყველა მსახიობი ბიძინა ივანიშვილის დახმარებას იღებს!

ერთ დროს ეს ყოველივე, ყველას „ქველმოქმედება“ ეგონა და აღმოჩნდა, რომ სამანიპულაციო, სამართავი და ღირსების შემლახველი აქტი ყოფილა!

რამხელა ამორალური სიბინძურეა, ქველმოქმედების სახელით ადამიანები გამოიყენო, მძევლებად აქციო და არც ერთი ლარი არ შეარგო, ყელში ამოადინო, აძახო და მათი სახელები და გვარები ტალახში ამოსვარო უღირსი სიების გამოქვეყნებით!

ეს არ არის „ქველმოქმედება“!

სირცხვილია!

ერეკლე დეისაძე: „ნაადრევი მგონია რომელიმე ინსტიტუციის დანგრევაზე საუბარი“

მომღერალი ერეკლე დეისაძე მიიჩნევს, რომ ქვეყანაში რომელიმე ინსტიტუციის დანგრევაზე საუბარი ნაადრევია:

– როცა რომელიმე ინსტიტუტს ებრძვი და შენი ბრძოლის მეთოდები სასტიკი და არაჰუმანურია, მაშინ რასაც ებრძვი, იმას უფრო მეტად აძლიერებ, მისგან წამებულის სურათ-ხატს ქმნი, წამებულთან კი ყოველთვის დამარცხებული ხარ, როცა სახელმწიფო გქვია. ეგ ინსტიტუცია სინამდვილეში მენტალობაა, რომლითაც გაჟღენთილია ყველა, როგორც ერში, ისე – ბერში. ამიტომ ნაადრევი მგონია, რომელიმე ინსტიტუციის დანგრევაზე საუბარი, რეალურად რაც მსგავს ინსტიტუტებს ანგრევს, განათლება და ის საკითხებია, რომლისგანაც უკვე წლებია ასე შორს დგას ყველა მთავრობა, ამიტომ ყველაფერი მიზეზშედეგობრივია.

გელა დაიაური ქველმოქმედებისკენ მოგვიწოდებს

მუცოელი პოეტი გელა დაიაური საზოგადოებას უმორჩილესი თხოვნით მიმართავს და ქველმოქმედებისკენ მოგვიწოდებს:

– მეგობრებო, დებო და ძმებო, ძალიან გთხოვთ, ამ პოსტს უყურადღებოდ ნუ გაატარებთ: უნიჭიერეს და უკეთილშობილეს ადამიანს და ხელოვანს, მადონა ნიკოლეიშვილს სჭირდება ჩვენი თანადგომა. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა რთული და მძიმეა.

რამდენიმე წლის წინ დაკარგა ცალი თირკმელი. გასული წლის დეკემბერში მეორე თირკმელი ამოკვეთეს. ამ ეტაპზე დიალეზზე იმყოფება, მაგრამ მისი ფიზიკური და სულიერი მდგომარეობა თანდათან მძიმდება. დონორის კვლევისთვის საჭიროა თანხა. დონორი შეიძლება დედამისი გახდეს.

მოგმართავთ თხოვნით, ვისაც შეგიძლიათ, მცირედითაც დავეხმაროთ, გადავარჩინოთ შემოქმედის სიცოცხლე. თქვენგან გაღებული თითოეული თეთრი მას გადაარჩენს და მისცემს სიცოცხლის გაგრძელების შანსს! ჩვენ გვჯერა თქვენი გულისხმიერების და თანადგომის! უფალმა სიკეთით გადაგიხადოთ!

მესტიის თეატრი ევროპული კულტურის ცენტრია

ისტორიკოსი გიორგი კალანდია მიიჩნევს, რომ ლეო ფილფანის სახელობის მესტიის თეატრი ევროპული კულტურის ცენტრია:

– ჩემმა მეგობარმა მსახიობმა გიორგი გასვიანმა აიჩემა – წამო, მესტიის ახალი თეატრი ვნახოთო. უარი ვერ ვუთხარი, არადა, გულში ვფიქრობდი, რა თეატრი უნდა იყოს მაღალმთიან რეგიონში-მეთქი.

რომ მივედი, დიდხანს რეტდასხმული დავდიოდი: ულტრათანამედროვე დიზაინის ნაგებობა, მარმარილოს იატაკითა და კედლებით, ბრწყინვალე განათებით, სუპერ სცენით, 180-კაციანი დარბაზით, სასტუმროთი, ხმის ჩამწერი სტუდიით.

ყველაფერი ეს კი მსახიობ გეგი ფალიანის თაოსნობითა და ენთუზიაზმით გაკეთებულა, საშვილიშვილო საქმე აზიის განვითარების ფონდსა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაუფინანსებია. მოკლედ, ლეო ფილფანის სახელობის მესტიის თეატრი ჩვეულებრივი ევროპული კულტურის ცენტრია.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. ფირუზისფერი ზღვის ბალახი; 2. ოფიციალური ცნობა საერთაშორისო მოლაპარაკების მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ; 3. ბირმის დღევანდელი სახელწოდება; 4. ფულის ერთეული სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში; 5. მონასტერი ქარელის რაიონში; 8. სწორკუთხა, უგუმბათო ქრისტიანული ტაძარი; 12. მდგომარეობა ჭადრაკში; 13. კარსტული მღვიმე იმერეთში; 14. ალპინისტთა ბანაკი სვანეთში; 16. იტალიელი კინოვარსკვლავი ქალი; 18. ორსართულიანი ლაზური სახლი; 20. მაღალხარისხოვანი, წვრილმარცვლოვანი ყავის ჯიში.

თარაზულად: 6. ფართოფარფლებიანი ესპანური ქუდი; 7. ქართული თეატრის ფუძემდებელი; 8. ბერძნული ხალხური სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 9. მდინარე ლონდონში; 10. დუქნის დახლიდარი; 11. ჩვილი ბავშვის საფენი; 15. გულისცემის აჩქარება; 17. ოთარ თაქთაქიშვილის ოპერა; 19. ხილის წვენების პიურესგან დამზადებული საკონდიტრო ნაწარმი; 21. ამერიკული ჟურნალი; 22. სამხედრო გემის სურსათისა და საყოფაცხოვრებო ნივთებით მომმარაგებელი ოფიცერი; 23. ამერიკული ავიაკოსმოსური კონცერნი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა